დანართი 1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა, თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

26.10.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

12.12.2022

თბილისი

სარჩევი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 20

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 20

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 29

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 38

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა 42

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 49

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პიტერ ჯონკერსი, ტილბურგის უნივერსიტეტი, კათოლიკური თეოლოგიის სკოლა, ნიდერლანდები
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ცოტნე ჩხეიძე, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ მაჭავარიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო (სტუდენტი)
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Theology-History of Georgian Church
უმაღლესი განათლების საფეხური	სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	რელიგია და თეოლოგია 0221
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	სასწავლო კომპონენტი 50 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული № 57; 19.07.2016
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სადოქტორო პროგრამა „თეოლოგია“ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2016 წლიდან ხორციელდებოდა ბიზნეს-ინჟინერიის ფაკულტეტზე. მას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 15 ივლისის N57 გადაწყვეტილებით. ამჟამინდელი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორია“ ფუნქციონირებს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.
პროგრამა „თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია“ შემუშავდა 21-ე საუკუნის სამეცნიერო ტენდენციების შესაბამისად და იძლევა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ციკლის მთავარი საკითხების გააზრების შესაძლებლობას, რაც წარმოდგენილია ტრიადის სახით - „რელიგია, აზრი, მეცნიერება“ (თვითშეფასების ანგარიში, 4).
პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ ამ პროგრამაზე ამჟამად 9 სტუდენტია ჩარიცხული. პროგრამის აღწერილობის მიხედვით, პროგრამის სასწავლო კომპონენტია 50 ECTS: პირველი სემესტრი შედგება 15 ECTS მეთოდოლოგიური კომპონენტისგან, ხოლო 15 ECTS თემატური სემინარებისთვის არის გამოყოფილი; მეორე სემესტრი მოიცავს პროფესორის ასისტენტობას (10 ECTS) და ორ არჩევით კურსს (ოთხიდან) (10 ECTS). დარჩენილი დრო (პროგრამის საერთო ხანგრძლივობა არანაკლებ სამი წელია) იხარჯება სადოქტორო კვლევასა და დისერტაციის წერაზე.
თეოლოგიის ცენტრის ვებგვერდის და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, 19, პროგრამის ძირითადი სასულიერო პერსონალი შედგება ორი სრული პროფესორისა და ორი მოწვეული ასოცირებული პროფესორისგან; მათ ემატება სამი აკადემიური პერსონალი სხვა დეპარტამენტებიდან. ეს მონაცემები დადასტურდა და გაირკვა ადგილზე ვიზიტის დროს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 26 ოქტომბერს 10:00 საათიდან საღამოს 19:00 საათამდე. ყველა შეხვედრა გეგმისა და განრიგის მიხედვით ჩატარდა (ადგილზე ვიზიტის მიმოხილვისა და შეხვედრებში მონაწილეთა სანახავად ნახეთ ვიზიტის დღის წესრიგი). ამ კუთხით, არსებითი მნიშვნელობის იყო, NCEQE-ს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის პერსონალის წევრის, ნინო ალავიძის მიერ, ვიზიტის კომპეტენტურად მომზადება. ერთადერთი რამ, რასაც ადგილზე ვიზიტის დროს, დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდა, იყო უნივერსიტეტის შენობის დათვალიერება (ოფისების ნახვა, აუდიტორიების, საკლასო ოთახებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება). პროგრამამ ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა ოთხი დისერტაციის ასლი, მათ შორის ინგლისურენოვანი შინაარსი. უმეტეს შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა იმ პირებს, რომლებიც ვიზიტის დღის წესრიგში იყო ნახსენები; რამდენიმე შემთხვევაში, ის პირი, რომელიც დღის წესრიგით იყო გათვალისწინებული, ვერ დაესწრო შეხვედრას და მის ნაცვლად, სხვამ მიიღო მონაწილეობა. გასაუბრებებმა სასიამოვნო და კონსტრუქციულ ატმოსფეროში ჩაიარა, თუმცა, რამდენადაც ყველა შეხვედრა ქართულ ენაზე წარიმართა და თარგმანი იყო საჭირო, შეხვედრები უფრო სტატიკური გამოდგა. ცხადია, თარჯიმნის, მარიამ ხაჟომიას გაწეული დახმარება, რომელმაც საქმეს კომპეტენტურად გაართვა თავი, გადამწყვეტი მნიშვნელობის

იყო თავმჯდომარისთვის, რომ მიეღო სიღრმისეული ინფორმაცია პროგრამის შესახებ. ნაწილობრივ ენობრივი ბარიერის და გასაუბრებების სტატიკური ხასიათის გამო, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით დასმულ კონკრეტულ კითხვებზე ზუსტი პასუხი ვერ მიიღო. დაბოლოს, ქალბატონი ალავიძე დაეკონტაქტა უნივერსიტეტს, კერძოდ პროგრამას და სთხოვა მათ მოეწოდებინათ მთელი რიგი დოკუმენტებისა (ინგლისური თარგმანი), ადგილზე ვიზიტის განხორციელებამდე. ეს დოკუმენტები ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც თვითშეფასების ანგარიშში ისინი მუდმივად მოიხსენიებოდა, როგორც კონკრეტულ სტანდარტებთან შესაბამისობის საფუძვლად. სამწუხაროდ, ექსპერტთა ჯგუფმა, ამ დოკუმენტების მხოლოდ ნაწილი მიიღო და მხოლოდ უშუალოდ ადგილზე ვიზიტის დღეს, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ძალიან გვინი იყო მათ წინასწარ წასაკითხად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის სამართლიანი შეფასებისთვის აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ეკლესია, თეოლოგია, როგორც აკადემიური დისციპლინა და, შესაბამისად, სადოქტორო პროგრამა „თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია“ ჯერ კიდევ აგების ფაზაშია, 70 წელზე ხანგრძლივი კომუნისტური მმართველობის შემდეგ (იხილეთ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან). 2016 წელს, დაარსების დღიდან პროგრამა არაერთგზის გაუმჯობესდა, მათ შორის ყველაზე საგულისხმოა შემდეგი: პროგრამის ფოკუსის დავიწროვება „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ დონემდე; პროგრამის სასწავლო კომპონენტში მეთოდოლოგიურ კითხვებზე ყურადღების გამახვილება; სილაბუსებსა და სტუდენტების შეფასების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები; სასწავლო კომპონენტში „სწავლების მეთოდების“, "სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკების“ და „პროფესორის ასისტირების“ კურსების დამატება; სახელმძღვანელოებისა და დამატებითი ლიტერატურის განახლება; პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ადაპტირება (თვითშეფასების ანგარში 4f).

ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ამ გაუმჯობესებებს, თუმცა ამის მიუხედავად თვლის, რომ პროგრამა ჯერ სრულად არ შეესაბამება სტანდარტებს (დეტალური აღწერისა და არგუმენტაციისთვის, იხილეთ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდივიდუალური სტანდარტის შეფასება, ასევე რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც მოცემულია ქვემოთ). ყველაზე დაუყოვნებლივ რეკომენდაციას წარმოადგენს ის, რომ პროგრამა მეტად მკაფიო და მკაცრი უნდა იყოს პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმებთან მიმართებით, კერძოდ იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ აქვთ თეოლოგიაში აკადემიური განათლება მიღებული. ამ რეკომენდაციის შესრულების შემდეგ, პროგრამისთვის შესაძლებელი იქნება თავისი სასწავლო კომპონენტი აიყვანოს სადოქტორო დონეზე და დაამატოს კონკრეტული სპეციალიზებული კურსები, რომლებიც არსებითად მნიშნელოვანია ქართული ეკლესიის შესასწავლად (მაგალითად, ძველი ქართული). გარდა ამისა, პროგრამა საჭიროებს გაცილებით მეტ ეროვნულ და საერთაშორისო სამიზნე ნიშნულს და სტრატეგიას, რომ დანერგოს ან გააძლიეროს მისი თანამშრომლობა თეოლოგიისა და ეკლესიის ისტორიის მიმართულებით სხვა უსდ-ებთან. ასეთი სტრატეგია სარგებელს მოუტანს პროგრამას, რამდენადაც ეს შესაძლებელს გახდის პროგრამის გარე რეცენზირებას; ეს ასევე შესაძლებლობას მისცემს ლექტორებს, რომ დახმარება მიიღონ გარე კოლეგებისგან დისერტაციების

ხელმძღვანელობისა და განხილვის კუთხით, შექმნან ერთობლივი კვლევითი პროექტები (ეროვნული და საერთაშორისო) და კონფერენციები; ეს სტრატეგია ასევე სარგებელს მოუტანს დოქტორანტებს, რამეთუ მათ მიეცემათ შანსი, წარადგინონ საკუთარი კვლევები ეროვნულ და საერთაშორისო აკადემიურ ასპარეზზე, გაცვალონ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება სხვებთან, უნივერსიტეტის გარეთ. დაბოლოს, რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, ექსპერტთა ჯგუფს სურს გამოხატოს თავისი პატივისცემა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენტური მუშაობისადმი. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელობა და მისი ლექტორები როგორც ჩანს ყოველთვის არ თანამშრომლობენ ეფექტურად ამ სამსახურთან, რამდენადაც თვითშეფასების ანგარიში არასაკმარისად თვითკრიტიკულია და არ იყენებს ამ სამსახურისა თუ სტუ-ს არაერთ რეგულაციასა და ინსტრუქციას, უშუალოდ პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ სამსხურის კომპეტენციით აღნიშნული პროგრამა მრავალ სარგებელს მიიღებდა. კერძოდ, პროგრამაზე უნდა ჩატარდეს ყოვლისმომცველი თვითშეფასებები და უფრო ღრმა დონეზე გაანალიზდეს ისინი. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას. პროგრამამ უნდა შეიმუშაოს კონკრეტული კითხვარები სტუდენტთა მიერ პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესაფასებლად.

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 1.1

- პროგრამამ უნდა აღმოფხვრას არათანმიმდევრულობა მისი მიზნების ზოგად აღწერასა და სადოქტორო პროგრამის გაცილებით უფრო კონკრეტულ აღწერას შორის. ეს უკანასკნელი უნდა იყოს წამყვანი პროგრამის მიზნების ზოგადი აღწერისთვის, რათა გააუმჯობესოს აკადემიური ხარისხი და გადაიყვანოს იგი სათანადო, სადოქტორო დონეზე.
-

სტანდარტი 1.2

- პროგრამამ უნდა შეიმუშაოს წინასწარი პროგრამა, რომელიც სწავლის ამ სფეროს გააცნობს იმ სტუდენტებს, რომელთაც არ აქვთ აკადემიური განათლება თეოლოგიაში. სადოქტორო პროგრამის არსებული კურსების ელემენტების გამოყენება შეიძლება ამის განსახორციელებლად (იხილეთ ასევე 2.1-ის სტანდარტის პირველი რეკომენდაცია).
- .

სტანდარტი 1.3
არ არის მითითებული

სტანდარტი 1.4

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, პროგრამამ გადაჭრას კვლევის პროექტთან დაკავშირებული არათანმიმდევრულობის საკითხი.
- პროგრამამ უნდა დანერგოს სპეციალიზირებული კურსები კვლევის მეთოდოლოგიასა და დამხმარე დისციპლინებში, რომლებიც აუცილებელია ქართული ეკლესიის ისტორიის შესასწავლად (იხილეთ სადოქტორო პროგრამის აღწერა, 2), რათა დოქტორანტებს მიეცეთ სწავლის ამ სფეროს სიღრმისეული ცოდნა. საუკეთესო

ვარიანტი იქნება დისერტაციის კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული კონსულტაციებით მუშაობა.

სტანდარტი 1.5

- პროგრამამ მკაფიოდ უნდა განასხვაოს ერთმანეთისგან თეოლოგიაში არასაკმარისი აკადემიური განათლების მქონე სტუდენტებისთვის განკუთვნილი შესავალი კურსები და დოქტორანტურის დონის სასწავლო კურსები. შესავალი კურსები უნდა იყოს წინასწარი პროგრამის ნაწილი, ხოლო მეორე უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის ნაწილი და მოერგოს დოქტორანტების სპეციალურ საჭიროებებს.
- პროგრამამ კრიტიკულად უნდა შეხედოს ქართული ეკლესიის ისტორიის დოქტორანტურისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე უნარებსა და კომპეტენციებს და ინდივიდუალური კურსების შინაარსის ადაპტაცია მოახდინოს შესაბამისად.

სტანდარტი 2.1

- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ პროგრამამ შეიმუშაოს მასზე დაშვების მეტად ზუსტი და მკაცრი მოთხოვნები იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ აქვთ მაგისტრის ხარისხი თეოლოგიაში. კერძოდ, პროგრამაში უნდა იყოს მითითებული, თუ თეოლოგიისა და მეთოდოლოგიური კურსების რამდენი ECTS არის საჭირო, რომ სტუდენტი დაიშვას პროგრამაზე.
- დოქტორანტურის განახლებული რეგულაცია უნდა აიტვირთოს უსდ-ს ვებგვერდზე;
- რეკომენდებულია, შემუშავდეს დეტალური კრიტერიუმები პროგრამაზე დასაშვებად წარსადგენი კვლევითი პროექტის შეფასებისთვის.
- ფაკულტეტის კომიტეტთან აპლიკანტის ინტერვიუსთვის უნდა შემუშავდეს და დოკუმენტურად აღიბეჭდოს ძირითადი თემები და შეფასების კრიტერიუმები.
- პროგრამაზე დაშვების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია უნდა განთავსდეს ვებგვერდზე თანმიმდევრულად (არ უნდა იყოს სხვაობა ქართულ და ინგლისურენოვან ინფორმაციას შორის).

სტანდარტი 2.2

- უსდ-მ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ სულ მცირე, ერთ საერთაშორისო კონფერენციაში, ფორუმში, კონგრესზე ან სიმპოზიუმში მონაწილეობა დოქტორანტისთვის სავალდებულო იყოს.
- უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სტრუქტურული თანამშრომლობა თეოლოგიურ დაწესებულებებთან, ქვეყნის შიგნით და გარეთ.
- სტუდენტები მეტად ჩართულები უნდა იყვნენ სამეცნიერო/კვლევით/შემოქმედებით პროექტებში (როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე), პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

სტანდარტი 2.3
არ არის მითითებული

სტანდარტი 2.4

- უნდა გაუმჯობესდეს სტუდენტის შეფასების შედეგების ანალიზი;

- სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში, რეკომენდებულია, ჩართული იყოს უსდ-ს გარედან მოწვეული დარგის სპეციალისტი (იხილეთ 4.2 სტანდარტის რეკომენდაციაც).

სტანდარტი 3.1
არ არის მითითებული

სტანდარტი 3.2
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ შემოწმდეს სადოქტორო პროგრამის რეგულაციით განსაზღვრული წესების შესრულება, კერძოდ სადისერტაციო ნაშრომისა და მისი აბსტრაქტის ბიბლიოთეკასთან გადაცემასა და ფაკულტეტის ვებგვერდზე მათ განთავსებასთან დაკავშირებით.

სტანდარტი 4.1
არ არის მითითებული

სტანდარტი 4.2
- ამ პროგრამაში დასაქმებული ისტორიის ან თეოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე (ასოცირებული) პროფესორების მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს მეტი აფილირებული ხელმძღვანელის დასაქმებას პროგრამაში.

სტანდარტი 4.3
არ არის მითითებული

სტანდარტი 4.4
არ არის მითითებული

სტანდარტი 4.5
არ არის მითითებული

სტანდარტი 5.1
- აკადემიურმა პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტად ეფექტურად უნდა ითანამშრომლონ, რათა ჩაატარონ ყოვლისმომცველი თვითშეფასებები და ჩამოაყალიბონ ზუსტი და დეტალური თვითშეფასების ანგარიში, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და უფრო მეტად თვითკრიტიკულია ვიდრე აღწერითი ხასიათის.
- საჭიროა შემუშავდეს სასწავლო პროცესის ელექტრონულად/დისტანციურად განხორციელების მეთოდოლოგია. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტაცია და მათი სათანადო განხორციელება ელექტრონული/დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

სტანდარტი 5.2

- პერიოდულად უნდა ჩატარდეს კოლეგიალური განხილვა ადგილობრივი და უცხოელი კოლეგების მიერ, გარე განვითარების მიზნით.

სტანდარტი 5.3

- პროგრამამ უნდა ჩაატაროს დოქტორანტების სპეციალური გამოკითხვა, რათა უზრუნველყოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელების ანონიმური შეფასება.
- უნდა ჩატარდეს სამიზნე ნიშნულებთან შედარება და სადოქტორო პროგრამა პერიოდულად უნდა შედარდეს უცხოურ უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს პროგრამებს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სტანდარტი 1.1

- ქართული ეკლესია მნიშნელოვან როლს ასრულებს ქართულ საზოგადოებაში და დაცულია კონსტიტუციით. თეოლოგიისა და ზოგადად ქართული ეკლესიის მომავლისთვის, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ თეოლოგიის მიმართულების ქართულმა უსდ-ებმა, მათ შორის სემინარიებმა, შექმნან ერთობლივი კვლევითი სკოლა, სადაც თავს მოიყრის შესავალი და მეთოდოლოგიური კურსები და ტრენინგები თეოლოგიის დოქტორანტებისთვის.
- ამ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების მაჩვენებელი დაბალია (გასაუბრების დროს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 9 სტუდენტი) და პროგრამაზე დასაქმებულია მხოლოდ 5 პროფესორი (ასოცირებული) საქართველოს ეკლესიის ისტორიის დარგში. კვლევითი სკოლის დაარსება დოქტორანტებს ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობას მისცემს, შეეძლებათ თეოლოგიის სხვა დარგებისა და დარგის სხვა მიდგომების გაცნობა და საკუთარი კვლევების ნაწილის წარდგენა. გარდა ამისა, ასეთი სკოლა შესაძლებლობას აძლევს ყველა ამ უსდ-ს აკადემიურ პერსონალს რომ გაცვალონ ერთმანეთში იდეები და გამოცდილებები საკუთარი კვლევის სფეროდან; გარდა ამისა ეს ქმნის ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავების შესაძლებლობას, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობასა და შეფასებაში დახმარების გარედან მიღებას და ა.შ. (იხილეთ რეკომენდაცია 4.2).

სტანდარტი 1.2

- პროგრამის საერთაშორისო არეალის გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ სულ მცირე ერთი კურსი მაინც ისწავლებოდეს ინგლისურ ენაზე.
- ამავე მიზეზით, სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ სულ მცირე ერთი კვლევითი ნაშრომი მაინც დაწერონ ინგლისურად.

სტანდარტი 1.3
არ არის მითითებული

სტანდარტი 1.4

- პროგრამამ უნდა შეიმუშაოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, არამხოლოდ საეკლესიო კონტაქტების გაძლიერებით, არამედ სხვა უნივერსიტეტებთან კონტაქტითაც.

სტანდარტი 1.5
არ არის მითითებული

სტანდარტი 2.1

- პროგრამაზე დაშების მოთხოვნების გამკაცრებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის რეალიზება შესაძლებელია წინასწარი პროგრამის შემუშავებით, რომელშიც იქნება შესავალი კურსები თეოლოგიასა და მეთოდოლოგიაში, რათა ამით მოხდეს ამ სფეროში სტუდენტთა ცოდნის ნაკლებობის კომპენსაცია. სადოქტორო პროგრამის არსებული კურსების ელემენტების გამოყენება შეიძლება ამის განსახორციელებლად.
- წარდგენამდე უსდ-მ სათანადოდ უნდა გადახედოს დოკუმენტებს, რადგან ზოგიერთი ქართულენოვანი დოკუმენტის შინაარსი ინგლისური ვერსიის იდენტური არ არის.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამის სასწავლო ნაწილში შევიდეს ძველი ქართულის სწავლება. ეს უნდა შეფასდეს სამართლიანად და გამჭვირვალედ.

სტანდარტი 2.2
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ ხელი შეუწყოს დოქტორანტების ენობრივი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას.

სტანდარტი 2.3
არ არის მითითებული

სტანდარტი 2.4
არ არის მითითებული

სტანდარტი 3.1

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, პროგრამაში განხორციელდეს მეტი ინიციატივა სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში ჩართვის მიზნით.

სტანდარტი 3.2
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ დაინერგოს თეოლოგიის კვლევითი სკოლა საქართველოში, სადაც ამავე დარგის (თეოლოგია) ყველა ქართული უსდ-ს დოქტორანტები მიიღებენ მონაწილეობას, იმსჯელებენ წინსვლასა და საკუთარი კვლევების შედეგებზე, ფორმალურად თუ არაფორმალურად.

სტანდარტი 4.1
- . პროგრამამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნის დონეს, მომავალში აკადემიური პერსონალის დაქირავებისას.

- პროგრამამ უნდა წაახალისოს აკადემიური პერსონალი და ხელი შეუწყოს, რომ ნაშრომები გაიტანონ საერთაშრისო კონფერენციებზე.

სტანდარტი 4.2

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ მეტი ინვესტიცია (ფინანსური) ჩადოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილების გასაუმჯობესებლად, რამეთუ ეს წარმოადგენს პროგრამის, ისევე როგორც სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მასტიმულირებელ საშუალებას.

სტანდარტი 4.3

- .

სტანდარტი 4.4

- თეოლოგიურ უსდ-ებს შორის უფრო ახლო თანამშრომლობის შესაძლებლობების შესწავლა, დარგობრივი საბიბლიოთეკო რესურსების კუთხით.

სტანდარტი 4.5

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ აწარმოოს უფრო დეტალური ინფორმაცია საკუთარ შემოსულობებსა და ხარჯებზე.

სტანდარტი 5.1
არ არის მითითებული

სტანდარტი 5.2
არ არის მითითებული

სტანდარტი 5.3

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სწავლება უნდა შეფასდეს წინასწარ განსაზღვრული საკლასო ოთახის დაკვირვების შაბლონის გამოყენებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[1]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უსდ-ის არგუმენტირებული პოზიცია წარდგენილ შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით და გადაწყვიტა მასზე მოახდინოს სიღრმისეული რეაგირება.

[1]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

სტანდარტი I

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 1.1 სტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტს, რომ აუცილებელი არ არის პროგრამის ზოგად მიზნებში სადოქტორო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის დეტალური აღწერილობის უბრალოდ გამეორება, მაგრამ ეს არ იყო მთავარი, რისი თქმაც ექსპერტთა ჯგუფს სურდა. ეს რეკომენდაცია უნდა იქნეს განხილული იმასთან კავშირში, რაც ექსპერტთა ჯგუფმა დაწერა პროგრამის 1.1 სტანდარტთან შესაბამისობის შეჯამებასა და ანალიზში. ექსპერტთა ჯგუფი შეშფოთებულია იმის შესახებ, ნამდვილად შეუძლია თუ არა პროგრამას დაეხმაროს თავის სტუდენტებს მოიპოვონ დოქტორანტურის ხარისხი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, თუ დაშვების მოთხოვნები ითვალისწინებს მხოლოდ მაგისტრის ხარისხს სწავლის ნებისმიერ დარგში. ამიტომ, მომავალი სტუდენტების ადეკვატურად და სამართლიანად ინფორმირებისთვის იმ სპეციალიზებული ცოდნის დონის შესახებ, რომელსაც ისინი მიაღწევენ ამ პროგრამის დასრულების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გაუწია პროგრამის მიზნების დაზუსტებას (შდრ. სადოქტორო პროგრამის აღწერა), რათა მომავალმა სტუდენტებმა განსაზღვრონ, არის თუ არა მათი საწყისი ცოდნის დონე საკმარისი საფუძველი სწავლის ამ სფეროში პროგრამის მიზნების მისაღწევად სამი წლის შემდეგ (საბოლოო დონე). ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ შეუსაბამობა სწავლის ამ დარგში წინასწარი აკადემიური კვალიფიკაციის გარეშე სტუდენტების (სავარაუდო) მისაღებ დონესა და პროგრამის საბოლოო დონეს შორის ასევე შეიძლება მოგვარდეს სხვაგვარად, მაგ. დაშვების მოთხოვნების ობიექტურად და ცალსახად განსაზღვრით. საერთო ჯამში, ჯგუფის მთავარი საზრუნავი არის ის, რომ მომავალი სტუდენტები მაქსიმალურად რეალისტურად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რას მოელიან მათგან. მაშასადამე, ეს რეკომენდაცია სცილდება პროგრამის მიზნების ფორმულირებაში ლაკონურობის მოთხოვნას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას ამ სტანდარტთან დაკავშირებით.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 1.2 სტანდარტის რეკომენდაციის და 1.4 სტანდარტის მე-2 რეკომენდაციის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება აღწერილობას, რომელსაც უნივერსიტეტი იძლევა საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტების მიზნის შესახებ, რადგან ის შეესაბამება იმას, რასაც საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მსგავსი პროგრამები მიზნად ისახავს. თავის ანგარიშში (გვ. 6, 17f) ექსპერტთა ჯგუფმა გამოხატა მოწონება პროგრამის ზოგადი წყობის შესახებ. ჯგუფი სხვა რამის გამოა შეშფოთებული. 1) უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება აპლიკანტებს ავალდებულებს, რომ მიღებული ჰქონდეთ არჩეული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის შესაბამისი მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ხოლო სადოქტორო პროგრამის აღწერაში (გვ. 2) ეს მოთხოვნა ნათლად არ არის ნახსენები. უფრო მეტიც, რამდენიმე რესპონდენტმა დაადასტურა, რომ წინა აკადემიური სწავლება ერთ-ერთ სასწავლო სფეროში, რომელიც პროგრამის ძირითადი ნაწილია ან მასთან მჭიდრო კავშირშია, არ იყო ფორმალური მოთხოვნა.

მათი ახსნით, ამის მიზეზი იყო ის, რომ ეს შეუძლებელია საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორიისა და საქართველოში აკადემიური თეოლოგიის ტრადიციის გათვალისწინებით (ანგარიში, გვ. 18). ამ (გასაგები) ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, რომელიც ასევე აღიარეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გაუწია წინასწარი პროგრამის და სპეციალიზებული კურსების შემუშავებას კვლევის მეთოდოლოგიაზე და ა.შ. 2) ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილება, კერძოდ, აპლიკანტებისგან კვლევითი პროექტის წარდგენის მოთხოვნა მისაღები კონკურსის დროს, არასაკმარისია, რადგან არ გააჩნია შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები (ანგარიში, გვ. 22). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას ამ სტანდარტთან დაკავშირებით.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 1.4 სტანდარტის 1-ელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ეს რეკომენდაცია ბუნდოვანია, ვინაიდან პროგრამის შეჯამება და ანალიზი ცალსახად მიუთითებს შესაბამის დოკუმენტებზე შეფასების ამ ასპექტის გასამყარებლად (იხ. ანგარიში, გვ. 22). დოკუმენტი სახელწოდებით „დოქტორანტურის პროგრამების საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების პროცედურა“ (დანართი 2) ადგენს, რომ დისერტაციის კვლევითი წინადადება უნდა მომზადდეს სწავლის პირველი წლის მეორე სემესტრში (იხ. კვლევის კომპონენტები, ნაწილი 3.4.). თუმცა, სადოქტორო პროგრამის აღწერა, გვ. 2 აცხადებს, რომ ეს კვლევითი პროექტი უნდა იყოს შედგენილი პროგრამაში შესვლამდე და წარმოადგენს დაშვების მოთხოვნას. აქედან გამომდინარე, ამ ორ დოკუმენტს შორის აშკარა შეუსაბამობაა და ეს უნდა მოგვარდეს.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 1.4 სტანდარტის მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით (უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნავს რეკომენდაცია 1-ს, მაგრამ უნდა იყოს 2)

ამ საკითხზე უნივერსიტეტის პოზიციაზე ექსპერტთა ჯგუფის რეაქციასთან ერთად (იხ. ზემოთ), ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის საგანმანათლებლო ნაწილი მოიცავს ძალიან ბევრ კურსს, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის, ვიდრე დოქტორანტურის დონეს (იხილეთ ანგარიში, გვ. 22, 24 დეტალური მაგალითებისთვის). ამ რეკომენდაციის მიზანი იყო პროგრამის საგანმანათლებლო ნაწილის მიახლოება დოქტორანტურის სათანადო დონესთან.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 1.4 სტანდარტის მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა უნივერსიტეტის პოზიციას ამ რეკომენდაციის შესახებ და ის რჩევად გადააკეთა. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიშში არაფერია ნათქვამი „საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის“ ახალ ფორმაზე, ამიტომ ჯგუფმა ეს ვერ გაითვალისწინა.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 1.5 სტანდარტის 1-ელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფს ესმის უნივერსიტეტის პოზიცია და ამტკიცებს, რომ ეს პროგრამა ძალიან სპეციფიკურია და მხოლოდ 20 წელია, რაც შემუშავდა. ეს ფაქტი აჩვენებს, რატომ არის სავალდებულო ლიტერატურის უმეტესობა ქართულ ენაზე. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფმა უარი თქვა ამ რეკომენდაციაზე.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 1.5 სტანდარტის მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით

როგორც ზემოთ აღინიშნა ექსპერტთა ჯგუფის რეაქციებში უნივერსიტეტის პოზიციაზე 1.1 სტანდარტის რეკომენდაციასთან, 1.2 სტანდარტის რეკომენდაციასთან, 1.4 სტანდარტის მე-2 რეკომენდაციასთან (ორი რეაქცია) დაკავშირებით, ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოთხოვნები ამ პროგრამის აპლიკანტებისთვის წარადგინონ კვლევითი პროექტი და გაიარონ გასაუბრება ფაკულტეტის დროებით კომიტეტთან, არასაკმარისია სტუდენტების სადოქტორო დონის უზრუნველყოფისთვის. უფრო მეტიც, ეს მოთხოვნები არ არის საკმარისად გამჭვირვალე მომავალი სტუდენტის გადმოსახედიდან. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას.

დასკვნა: ექსპერტთა ჯგუფი ვერ ხედავს მიზეზს, გაიზიაროს უნივერსიტეტის პოზიცია, რომ საჭიროა 1-ელი სტანდარტის საერთო შეფასების ამაღლება და განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. უფრო მეტიც, ჯგუფი უნივერსიტეტის მიერ ამ შეფასების კვალიფიკაციას მიიჩნევს „არარელევანტურად“ - იმ სერიოზულობისა და სიზუსტის გაუმართლებელ და არასათანადო დისკვალიფიკაციად, რომლითაც ჯგუფმა შეასრულა თავისი დავალება.

სტანდარტი II

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 2.1 სტანდარტის 1-ელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფი არ უარყოფს, რომ აკადემიური კვლევა ხშირად ინტერდისციპლინურია და სადოქტორო პროგრამის ფოკუსი მოიცავს სხვადასხვა (ქვე)დისციპლინას. ამიტომ, ჯგუფს ესმის, რომ პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმების ზედმეტად მკაცრად განსაზღვრა კონტრპროდუქტიული იქნება. თუმცა, საკმაო განსხვავებაა საკმაოდ მკაცრ დაშვების კრიტერიუმებს და იმ დისციპლინის შესახებ სრულ მიუთითებლობას შორის, რომელშიც მომავალ სტუდენტს უნდა ჰქონდეს მიღებული მაგისტრის ხარისხი პროგრამაზე დაშვებამდე (იხილეთ აგრეთვე ჯგუფის რეაქცია 1.1 და 1.2 სტანდარტის რეკომენდაციაზე). ასეთი ზუსტი მითითების არარსებობა მომავალ სტუდენტებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც აქვს განსხვავებული მაგისტრის ხარისხი, ვიდრე უნივერსიტეტის პოზიციაშია ნახსენები, უჩენს ეჭვს, არის თუ არა პროგრამაზე მათი დაშვების კვალიფიკაცია სათანადო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის. უფრო მეტიც, პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტი

გვიჩვენებს, რომ ამ კომპონენტის ზოგიერთი ნაწილი ითვალისწინებს ცოდნას და თემებს, რომელიც პოტენციურ სტუდენტს უნდა დაეფარა ბაკალავრიატში ან მაგისტრატურაში სწავლის დროს (იხ. ასევე ჯგუფის რეაქცია სტანდარტი 1.5-ის მე-2 რეკომენდაციაზე). ჯგუფს ასევე ესმის, რომ დარგის პრაქტიკული გამოცდილება შეიძლება იყოს უპირატესობა სტუდენტებისთვის, მაგრამ ეს უფრო მეტად ეხება პრაქტიკული თეოლოგიის სფეროს, ვიდრე თეორიულ დისციპლინას, როგორიც არის საქართველოს ეკლესიის ისტორია. უფრო მეტიც, პრაქტიკული გამოცდილება ვერ ანაზღაურებს თეორიული ცოდნის ნაკლებობას. ექსპერტთა ჯგუფმა უარი თქვა რეკომენდაციის გარკვეულ ნაწილზე, რადგან უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების ქართული ტექსტი განსხვავდება ინგლისური ვერსიისგან, რაც, სხვათა შორის, უკვე პრობლემას წარმოადგენს. საერთო ჯამში, ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას ამ სტანდარტთან დაკავშირებით.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 2.1 სტანდარტის მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი აფასებს, რომ უნივერსიტეტმა მიიღო ზომები ამ რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 2.1 სტანდარტის მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ უნივერსიტეტმა მიიღო ზომები ამ რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ. მაგრამ ჯგუფი აღნიშნავს, რომ დოკუმენტი, რომელიც მან მოითხოვა დაწესებულებაში ვიზიტამდე (და რომელიც მხოლოდ ვიზიტის დროს იყო წარდგენილი) არ არის იდენტური იმ დოკუმენტის ყველა ასპექტთან, რომელიც ატვირთულია ფაკულტეტის ვებგვერდზე (იხ. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის დანართი). კერძოდ, ატვირთულ დოკუმენტში არ არის ნახსენები აპლიკანტთან გასაუბრების ძირითადი თემები და არც შეფასების კრიტერიუმების დეტალური მიმოხილვა.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 2.1 სტანდარტის მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ უნივერსიტეტმა მიიღო ზომები ამ რეკომენდაციის შესაბამისად. მაგრამ ჯგუფი აღნიშნავს, რომ დოკუმენტი, რომელიც მან მოითხოვა დაწესებულებაში ვიზიტამდე (და რომელიც მხოლოდ ვიზიტის დროს იყო წარდგენილი) არ არის იდენტური იმ დოკუმენტის ყველა ასპექტთან, რომელიც ატვირთულია ფაკულტეტის ვებგვერდზე (იხ. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის დანართი). კერძოდ, ატვირთულ დოკუმენტში არ არის ნახსენები აპლიკანტთან გასაუბრების ძირითადი თემები და არც შეფასების კრიტერიუმების დეტალური მიმოხილვა.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 2.1 სტანდარტის მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ უნივერსიტეტმა მიიღო ზომები ამ რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ. მაგრამ ჯგუფი აღნიშნავს, რომ ეს რეკომენდაცია არ ეხება მხოლოდ ინფორმაციას დაშვების წინასწარი ტესტის და პროგრამის შესახებ, არამედ ძირითად თემებსა და შეფასების კრიტერიუმებსაც მოიცავს.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 2.2 სტანდარტის 1-ელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

თავის არგუმენტირებულ პოზიციაში, უნივერსიტეტი უბრალოდ იმეორებს იმას, რაც წერია დისერტაციის მომზადებისა და გადამოწმების დებულების მე-8 მუხლში, მაგრამ არ განმარტავს, თუ როგორ ხორციელდება ეს რეგულაციები პროგრამაში (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 14 არც ამის შესახებ იძლევა დამატებით ინფორმაციას). რაც მთავარია, ექსპერტთა ჯგუფს არ უნახავს რაიმე მტკიცებულება ამ მონაწილეობის შესახებ (მაგ. პრეზენტაციების ტექსტები ინგლისურ ენაზე ან დოქტორანტების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების სათაურები). დაბოლოს, უნივერსიტეტი არ აკონკრეტებს, თუ რას გულისხმობს ამ პროგრამის შემთხვევაში - „მასალები […] დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ“. შესაბამისად, ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 2.2 სტანდარტის მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ პროგრამა იღებს ამ რეკომენდაციას.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 2.2 სტანდარტის მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ პროგრამა იღებს ამ რეკომენდაციას.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 2.4 სტანდარტის 1-ელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფს ეჭვი არ ეპარება, რომ სტუდენტის შედეგების შეფასების შიდა მექანიზმები და მეთოდოლოგია არის მყარი, გამოცდილი და დანერგილი, მაგრამ ეს არ ჩანს თვითშეფასების ანგარიშში, ვინაიდან ის კრიტიკულად არ ასახავს ამ შეფასებებსა და მათ გავლენას პროგრამის შემდგომ განვითარებაზე. როგორც წესი, სტუდენტის შედეგების შეფასებები შედის პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების ციკლში, მაგრამ თვითშეფასების ანგარიშმა და ინტერვიუებმა არ აჩვენა მტკიცებულება ასეთი ციკლის არსებობის შესახებ. შესაბამისად, ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 2.4 სტანდარტის მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტი თავის პოზიციაში ციტირებს სადოქტორო პროგრამის დებულების 9.5-ე მუხლს (იხ. აგრეთვე ანგარიში, გვ. 30). თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ვერ ხედავს, როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს რეგულაცია პროგრამის აკადემიური პერსონალის მცირე

რაოდენობის გათვალისწინებით (იხ. აგრეთვე რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე სტანდარტ 4.2-თან დაკავშირებით). უფრო მეტიც, აკრედიტაციის სტანდარტის 2.4-ის ერთ-ერთი კრიტერიუმი ადგენს, რომ „დისერტაციის შეფასება მოიცავს გარე შემფასებელ(ებ)ს“. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას ამ სტანდარტთან დაკავშირებით.

სტანდარტი III

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 3.2 სტანდარტის 1-ელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფს ეჭვი არ ეპარება, რომ ყველა დისერტაცია წარდგენილია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ჯგუფმა შეამოწმა, რომ დისერტაციების რეფერატები მართლაც განთავსებულია ფაკულტეტის ვებგვერდზე, თუმცა რეფერატები მხოლოდ დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ აიტვირთა. ამასთან, დოქტორანტურის დებულების 11.1.გ მუხლი მოითხოვს „საკანდიდატო დისერტაციის ელექტრონული ვერსიების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე“, რაც ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის პოზიციას („დოქტორანტს არ აქვს ვებგვერდზე დისერტაციების გამოქვეყნების ვალდებულება“). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაიზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას ამ სტანდარტთან დაკავშირებით.

სტანდარტი IV

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 4.2 სტანდარტის 1-ელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით

როგორც ამ ქვესტანდარტის შეჯამებამ და ანალიზმა აჩვენა, ეს რეკომენდაცია არ ითვალისწინებს ხელმძღვანელთა რაოდენობას და აკადემიურ კვალიფიკაციას დოქტორანტების რაოდენობასთან მიმართებაში. უფრო სწერად, ექსპერტთა ჯგუფს ეჭვი ეპარება, არის თუ არა პროგრამაში დასაქმებული (ასოცირებული) პროფესორების რაოდენობა საკმარისი უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულების შესასრულებლად, მუხლი 9.3-6 (ანგარიში, გვ. 37). ვინაიდან უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაიზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას.

სტანდარტი V

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 5.1 სტანდარტის 1-ელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფს ეჭვი არ ეპარება უნივერსიტეტის ძალისხმევაში, მოამზადოს და განახორციელოს სასწავლო სესიები პროგრამის მასწავლებლებისთვის და გააძლიეროს ხარისხის კულტურა. თვითშეფასების ანგარიშმა და უნივერსიტეტის სხვადასხვა რეგულაციამ თუ ინსტრუქციამ წარმოადგინა უამრავი მტკიცებულება ამ ძალისხმევის დასაბუთებისთვის. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი გააკვირვა თვითშეფასების ანგარიშის ძალიან აღწერითმა ხასიათმა და ანალიზის, ზუსტი თვითშეფასებისა და პროგრამის გაუმჯობესების კონკრეტული გეგმებისა და ვადების ნაკლებობამ (ანგარიში, გვ. 41). ეს დაკვირვება აუცილებლად მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ მიუხედავად უნივერსიტეტისა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ყველა ინიციატივისა, ამას აშკარად არ მოჰყოლია თვითშეფასების შემდგენელ პასუხისმგებელ პირებში ეფექტური ანალიტიკური, შემფასებლური და თვითკრიტიკული დამოკიდებულების განვითარება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 5.1 სტანდარტის მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება და აფასებს უნივერსიტეტის ინიციატივებს ელექტრონული და დისტანციური სწავლების განვითარების შესახებ, რადგან ეს ხელს შეუწყობს დოქტორანტების სწავლასა და კვლევას, რომელთაგან ბევრი მუშაობს კამპუსში.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 5.2 სტანდარტის 1-ელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფი მოხარულია, რომ უნივერსიტეტი იღებს ამ რეკომენდაციას.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 5.3 სტანდარტის 1-ელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა დანართი 14, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის პოზიციის არგუმენტირებულ საფუძველს ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. თუმცა, დანართი 14 შეიცავს მხოლოდ ლექტორთა CV-ებს და არა დოკუმენტებს სადოქტორო პროგრამის საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტის შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაიზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას.

- რეაქცია უნივერსიტეტის პოზიციაზე 5.3 სტანდარტის მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ უნივერსიტეტი სერიოზულად იღებს ამ რეკომენდაციას.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნებია: 1) სამეცნიერო კვლევების შესრულების უნარების მქონე დოქტორის მომზადება თეოლოგიის - საქართველოს ეკლესიის ისტორიის დარგში, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა; 2) შეძლოს თეოლოგიური მიმართულებების და საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხების კორელაცია. ეკლესიის ისტორიის წყაროების და წმინდა მამათა მსოფლმხედველობის მეცნიერული გააზრება; 3) ეკლესიის ისტორიის დარგში მაღალპროფესიული აკადემიური კადრის მომზადება, რომელთაც შეეძლებათ დამოუკიდებელი, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევა და სწავლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (იხილეთ თვითშეფასების ანგარიში, 7, სადოქტორო პროგრამის აღწერა, 3).

ზემოაღნიშნული შეჯამება აჩვენებს, რომ პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და მჭიდრო კავშირშია კონკრეტულ სფეროსთან, რომლისთვისაც ეს პროგრამაა შემუშავებული, ანუ - დოქტორის ხარისხი თეოლოგიაში, კერძოდ, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს მეთოდოლოგიური კომპეტენცია და ღრმა ცოდნა საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და მისი წყაროების შესახებ, რაც აუცილებელია ამ სფეროში დისერტაციის დასასრულებლად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2022-2028 წლების სტრატეგიულ გეგმაში ცალსახად არ არის ნახსენები თეოლოგია ან ეკლესიის ისტორია, რექტორის მოადგილემ ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს პროგრამა და თეოლოგიის ცენტრი კარგად არის ინტეგრირებული უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის მისიის მნიშვნელოვანი ასპექტია ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების მნიშვნელოვანი მიღწევების შენარჩუნება, საქართველოს ინტელექტუალური და მორალური ინტერესების პოპულარიზაცია, ღვთისმეტყველების სფეროში მიღწეული მაღალი დონის და მდიდარი ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება (იხ. ინტერვიუები). ანალოგიური განცხადება გააკეთა საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ამ პროგრამის ფაკულტეტში ინტეგრაციის შესახებ. ინტერვიუში ეს ინფორმაცია

მათი მხრიდან ამ პროგრამის ხელმძღვანელმა და ლექტორებმა დაადასტურეს. ამ პროგრამის ინტეგრაციის კონკრეტული მაგალითია ის ფაქტი, რომ პროგრამამ დიდად ისარგებლა სტუ-სა და ფაკულტეტის კომპეტენტური შიდა ხარისხის უზრუნველყოფით (მაგ. ინდივიდუალური სამუშაო გეგმა, ინსტრუქციები საგანმანათლებლო პროექტის მენეჯმენტის შესახებ, სასწავლო გეგმის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და შეფასების რეგულაციები, სადოქტორო პროგრამის რეგულაციები, პროგრამის სწავლის შედეგები, შეფასების მექანიზმები და სამიზნეები და ა.შ.).

ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება, რომ პროგრამის პერსონალმა გამოიჩინა არაერთი ინიციატივა პროგრამის გაუმჯობესებისა და განახლების მიზნით, 2016 წლის აკრედიტაციის შემდეგ (იხ. თვითშეფასების ანგარისი 4f და სადოქტორო პროგრამის აღწერა, 5, ინტერვიუები). ეს გაუმჯობესებები და განალხებები, რომლებიც შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგია, შეეხება პროგრამის მიერ საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე ყურადღების გამახვილებას (ნაცვლად ზოგადად თეოლოგიისა), გულისხმობს მეთოდოლოგიური კურსების დანერგვას, სადოქტორო კვლევისთვის სტუდენტების მომზადებას, თემატურ კურსებს, სტუდენტებისთვის კვლევითი ნაშრომის წერის სწავლებას, სწავლების მეთოდების კურსს და კურს სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკაში, სტუდენტების მომზადებას საქართველოს ეკლესიის ისტორიის დარგში სამომავლო ექსპერტებად, პროფესორის ასისტირებას მის მუშაობაში, რაც სტუდენტებს აცნობს აკადემიური კვლევისა და სწავლების პრაქტიკულ მხარეებს. ყველა ეს ელემენტი ხელს უწყობს დარგის განვითარებას და პროგრამის რელევანტურობას ქართული საზოგადოებისთვის. სწავლებისა და სამეცნიერო კომუნიკაციის კურსები წარმოაჩენს პროგრამის ინიციატივებს, რომ მხედველობაში იღებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს, როგორც აკადემიის შიგნით, ისე გარეთ. დამსაქმებელმა არააკადემიური სექტორიდან, გასაუბრების დროს ეს დაადასტურა. მან შეაქო ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა საკომუნიკაციო და სწავლების უნარები, ისევე როგორც მათი ცოდნა სხვა რელიგიების შესახებ. დიდ გაუმჯობესებას წარმოადგენს ასევე მაგისტრის ხარისხის ფორმალური მოთხოვნის გარდა კიდევ პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნების დანერგვა, კერძოდ კვლევის შემუშავებული პროექტი, ლექტორებთან გასაუბრება და ინგლისური ენის სათანადო დონეზე ცოდნა.

პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე, თუმცა მხოლოდ ქართულ ენაზეა განთავსებული; გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ პროგრამის შესახებ ინფორმირებულნი არიან ლექტორები და სტუდენტები.

პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოჩენილი ამ დასაფასებელი ინიციატივების მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფისთვის დიდი შეშფოთების საგანს წარმოადგენს ის, რომ პროგრამის მიზნები არ არის რეალისტური და მიღწევადი. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები (იხილეთ სადოქტორო პროგრამის აღწერა,2) არ არის საკმარისად მკაცრი საქართველოს ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამისთვის. გაუგებარია „მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი შეესაბამება თუ არა შერჩეული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციას“, როგორც ეს დოქტორანტურის რეგულაციის ინგლისურ ტექსტშია ნათქვამი, თუ მხოლოდ გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ითხოვენ ნებისმიერ დარგში, როგორც ეს ქართულ ტექსტშია ნათქვამი (იხ. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეგულაციები, 3.5). ამ მხრივ, სადოქტორო პროგრამის აღწრა (გვ.2) მეტწილად ბუნდოვანია. პროგრამაზე დაშვების მეტნაკლებად სუსტი მოთხოვნების შედეგად, მეთოდოლოგიური კურსების ზოგიერთი ელემენტი უფრო საბაკალავრო ან სამაგისტრო დონისაა, ვიდრე დოქტორანტურის დონის (იხილეთ კომუნიკაციის ტექნიკის, კვლევის თეოლოგიური მეთოდებისა და შედარებითი თეოლოგიის სილაბუსები). და პირიქით, იმ ელემენტების ზედმიწევნით ცოდნას, რომელიც არსებითი მნიშვნელობისაა საქართველოს ეკლესიის ისტორიის სადოქტორო კვლევაში და მკაფიოდ ნახსენები კვლევის პროგრამის მიზნებში (იხილეთ სადოქტორო პროგრამის აღწერა,2), ეთმობა მხოლოდ ზღვრული დონის ყურადღება (5ECTS კრედიტი). აქედან ჩანს თვითშეფასების ანგარიშში (7) წარმოდგენილ მიზნების ზოგად აღწერასა და სადოქტორო პროგრამის აღწერაში (2) არსებულ უფრო კონკრეტულ აღწერას შორის არსებული არათანმიმდევრულობა. შედეგად, შესაძლოა სტუდენტებმა ვერ დაასრულონ საკუთარი დისერტაციები 3 წლის ვადაში, რამეთუ მათ აკლიათ არსებითი მნიშნელობის ცოდნა და უნარები კვლევის დაწყებისას. თუმცა, ეს არ დადასტურდა გასაუბრების დროს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების პოლიტიკის ყველაზე მეტად

სავარაუდო ეფექტი ისაა, რომ დისერტაციების ხარისხი არ აკმაყოფილებს საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებს. ეს არ არის გასაკვირი, რამდენადაც პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონე დაბალია (ამ ასპექტის შეფასებისა და მის გასაუმჯობესებლად საჭირო რჩევებისთვის ნახეთ ნაწილი 1.2). გასაუბრების დროს, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ქართული ეკლესია და თეოლოგიის უსდ-ები ჯერ კიდევ აგების ფაზაში არიან კომუნისტური მმართველობის 70 წლის შემდეგ, შესაბამისად არარეალისტურია თეოლოგიაში მაგისტრის ხარისხის, როგორც პროგრამაზე დაშების წინაპირობად მოთხოვნა. ზოგიერთმა გამოკითხულმა აღიარა, რომ არასაკმარისი ცოდნის მქონე სტუდენტების დაშვება პროგრამაზე წარმოადგენს პრობლემას. პროგრამა ცდილობს ამ პრობლემაზე რეაგირება მოახდინოს, სტუდენტებისგან კვლევის პროექტის წარდგენის მოთხოვნით, გარდა ამისა მათთან ატარებს გასაუბრებას; თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს არ არის საკმარისი ამ ნაკლოვანებების შესავსებად; უფრო მეტიც, ეს პოლიტიკა საფრთხეს უქმნის მიღების პროცესის გამჭვრივალობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამის აღწერა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეგულაციები;
- ინტერვიუები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2022-2028;
- კურსების სილაბუსები;
- დოქტორანტურის აპლიკანტის გასაუბრების შეფასების ფორმა და კრიტერიუმები.

რეკომენდაციები:

- პროგრამამ უნდა აღმოფხვრას არათანმიმდევრულობა მისი მიზნების ზოგად აღწერასა და სადოქტორო პროგრამის გაცილებით უფრო კონკრეტულ აღწერას შორის. ეს უკანასკნელი უნდა იყოს წამყვანი პროგრამის მიზნების ზოგადი აღწერისთვის, რათა გააუმჯობესოს აკადემიური ხარისხი და გადაიყვანოს იგი სათანადო, სადოქტორო დონეზე.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- ქართული ეკლესია მნიშნელოვან როლს ასრულებს ქართულ საზოგადოებაში და დაცულია კონსტიტუციით. თეოლოგიისა და ზოგადად ქართული ეკლესიის მომავლისთვის, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ თეოლოგიის მიმართულების ქართულმა უსდ-ებმა, მათ შორის სემინარიებმა, შექმნან ერთობლივი კვლევითი სკოლა, სადაც თავს მოიყრის შესავალი და მეთოდოლოგიური კურსები და ტრენინგები თეოლოგიის დოქტორანტებისთვის.
- ამ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების მაჩვენებელი დაბალია (გასაუბრების დროს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 9 სტუდენტი) და პროგრამაზე დასაქმებულია მხოლოდ 5 პროფესორი (ასოცირებული) საქართველოს ეკლესიის ისტორიის დარგში. კვლევითი სკოლის დაარსება დოქტორანტებს ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობას მისცემს, შეეძლებათ თეოლოგიის სხვა დარგებისა და დარგის სხვა მიდგომების გაცნობა და საკუთარი კვლევების ნაწილის წარდგენა. გარდა ამისა, ასეთი სკოლა შესაძლებლობას აძლევს ყველა ამ უსდ-ს აკადემიურ პერსონალს რომ გაცვალონ ერთმანეთში იდეები და გამოცდილებები საკუთარი კვლევის სფეროდან; გარდა ამისა ეს ქმნის ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავების შესაძლებლობას, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობასა და შეფასებაში დახმარების გარედან მიღებას და ა.შ.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☐	☒	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ასეთია: 1). განსაზღვრავს საკვლევ სამეცნიერო პრობლემას სამეცნიერო კვლევითი მეთოდოლოგიის საფუძველზე; 2). აანალიზებს დარგში კვლევის ობიექტთან დაკავშირებულ მულტიდისციპლინურ ინფორმაციას; 3). თეოლოგიურ კვლევაში იყენებს ანალიტიკურ მეთოდებს; 4).შეუძლია კვლევითი შედეგების მოპოვება და საერთაშორისო პუბლიკაციებში ასახვა; 5). ამ დარგში ცოდნის მოპოვება არგუმენტირებულად და ახალი იდეების განვითარება ახალ სამეცნიერო მიღწევებზე დაყრდნობით; 6). რელიგიური ღრებულებების დაცვას ხელმისაწვდომს ხდის ფართო საზოგადოებისთვის; 7).სწავლებას წარმართავს დამოუკიდებლად სწავლა-სწავლების უახლესი მეთოდებისა და სტრატეგიებით (თვითშეფასების ანგარიში 7f, სადოქტორო პროგრამის აღწერა, 3, პროგრამის სწავლის შედეგები, შეფასების მექანიზმები და სამიზნეები, 4-9).
ექსპერტთა ჯგუფის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მის მიზნებს საჭირო ცოდნასთან, კვლევით უნარებთან და კვლევებთან მიმართებით და ა.შ. (იხილეთ პროგრამის სწავლის შედეგები, შეფასების მექანიზმები და სამიზნეები, 4-9); ისინი ასევე რაოდენობრივია პროგრამის სწავლის შედეგების დოკუმენტში (გვერდი 7) და ცალკეული კურსების სილაბუსებში. ეს შედეგები მართლაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს იმუშაონ უნივერსიტეტში ან აკადემიის გარეთ, რაც დადასტურდა არააკადემიურ დამსაქმებელთან ინტერვიუს დროს. სადოქტორო პროგრამის აღწერა და ცალკეული კურსების სილაბუსები აჩვენებს, რომ სწავლის ეს შედეგები გამჭვირვალედ ფასდება. ინტერვიუებმა ასევე ცხადყო, რომ თეოლოგიის ცენტრის თანამშრომლები ძალიან კარგად თანამშრომლობენ მოწვეულ პროფესორებთან და სტუ-ს სხვა დეპარტამენტების პროფესორებთან. გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფის კითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით, სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულები პროგრამის შინაარსა და შედეგებზე და კმაყოფილები არიან მიღებული ხელმძღვანელობით. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს, რომ განათლების კომპონენტის ყველა კურსი იყენებს სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს.
2022 წელს უნივერსიტეტმა მოაწყო საერთაშორისო კონფერენცია თემირბოლატ ნამსუროვზე, მაგრამ გაურკვეველია, რამდენად აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის დოქტორანტები ამ კონფერენციაში მოკლე ნაშრომების წარდგენით, მითუმეტეს რომ ეს პროგრამის მნიშვნელოვანი სწავლის შედეგია.
მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა კარგად არის შემუშავებული, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი სწავლის შედეგი არ არის რეალისტური. წინარე თეოლოგიური განათლების არმქონე სტუდენტებისთვის თითქმის შეუძლებელია, წარმოდგენა ჰქონდეთ თეოლოგიის არსებითად მულტიდისციპლინურ ხასიათზე და საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მათი კვლევები დააკავშირონ

თეოლოგიის სხვა დარგებთან (მაგ. დოგმატიკა, ეგზეგეტიკა, მორალური თეოლოგია, და ა.შ.). ერთ-ერთმა გამოკითხულმა აღიარა, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიასა და თეოლოგიის სხვა დარგებს შორის არის ჩავარდნა, რომელიც უნდა შეივსოს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება, რომ ზოგიერთი სწავლის შედეგი არ არის რეალისტური, ასევე ეხება კვლევის მეთოდოლოგიის სიღრმისეულ ცოდნას ეკლესიის ისტორიის სფეროში და ძველი ლიტურგიკული ქართულის ცოდნას ადრეული ეკლესიის შესასწავლად. პროგრამით სწავლებული კურსები ძალიან აქტუალურია, მაგრამ არ აკომპენსირებს ამ ხარვეზებს მეთოდოლოგიისა და კონკრეტული კვლევითი უნარების სფეროებში (დეტალური ანალიზისა და შეფასებისთვის იხილეთ ნაწილი 1.5). გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები ამტკიცებს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ შედეგების ასახვა საერთაშორისო პუბლიკაციებში, ყველა კურსი მოცემულია ქართულად და ყველა დისერტაცია დაწერილია ქართულად (გარდა ინგლისურენოვანი შინაარსებისა (ხშირად ცუდი ინგლისურით დაწერილი). შესაბამისად, არ არის რეალიზებული ის შედეგი, რომ სტუდენტებს აქვთ უნარი, წარმოადგინონ თავიანთი კვლევის შედეგები საერთაშორისო კონფერენციებზე და გამოაქვეყნონ ისინი საერთაშორისო ჟურნალებში. მთლიანობაში, ეს ხარვეზები შეესაბამება ზემოხსენებულს, პროგრამის ზოგადი მიზნების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამის აღწერა;
- ინდივიდუალური კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუები;
- პროგრამის სწავლის შედეგები, შეფასების მექანიზმი და სამიზნეები.

რეკომენდაციები:

- პროგრამამ უნდა შეიმუშაოს წინასწარი პროგრამა, რომელიც სწავლის ამ სფეროს გააცნობს იმ სტუდენტებს, რომელთაც არ აქვთ აკადემიური განათლება თეოლოგიაში. სადოქტორო პროგრამის არსებული კურსების ელემენტების გამოყენება შეიძლება ამის განსახორციელებლად (იხილეთ ასევე 2.1-ის სტანდარტის პირველი რეკომენდაცია).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის საერთაშორისო არეალის გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ სულ მცირე ერთი კურსი მაინც ისწავლებოდეს ინგლისურ ენაზე.
- ამავე მიზეზით, სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ სულ მცირე ერთი კვლევითი ნაშრომი მაინც დაწერონ ინგლისურად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☐	☒	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ➢ ➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

მთლიანი პროგრამის, მისი ინდივიდუალური კურსების უმეტესობის და კვლევითი კომპონენტის (განსაკუთრებით დისერტაციის დაცვისა და შეფასების პროცედურა) შეფასების მექანიზმები არის ძალიან კარგად განსაზღვრული და გამჭვირვალე. ისინი ასევე შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უნივერსიტეტის შესაბამის რეგულაციებსა და ინსტრუქციებს (იხ. თვითშეფასების ანგარიში, 8f, სადოქტორო პროგრამების საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების პროცედურა, ინსტრუქცია სასწავლო პროცესის მართვის შესახებ).
ცალკეული კურსის სილაბუსები მოიცავს ამ კონკრეტული კურსის შედეგების ძალიან დეტალურ და გამჭვირვალე მიმოხილვას და აკავშირებს მოსალოდნელ შედეგებს შეფასების მექანიზმებთან და შეფასების კრიტერიუმებთან. ისინი ასევე შეიცავს დეტალურ რაოდენობრივ შეფასების სისტემას. ამ წესიდან გამონაკლისი არის კურსი „პროფესორის ასისტენტი“, რაც გასაგებია. ზოგიერთი კურსის სილაბუსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე; ექსპერტთა ჯგუფის ქართველმა წევრებმა დაადასტურეს, რომ ეს სილაბუსები ასევე შეესაბამება მოთხოვნებს.
თვითშეფასების ანგარიში (გვ. 8-11) აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, რომელიც შედგება ოთხი ეტაპისგან (სწავლის შედეგების დადგენა, სასწავლო გეგმის ანალიზი, სწავლის შედეგების შეფასება, ამ მონაცემების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად). როგორც ასეთი, ეს ციკლი არის ძალიან ეფექტური გზა პროგრამის ხარისხის შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად, მაგრამ თვითშეფასების ანგარიში ამ მხრივ ძალიან აღწერითია და საერთოდ არ იძლევა ინფორმაციას იმ გაკვეთილების შესახებ, რაც პროგრამამ ამ ციკლის მეშვეობით ისწავლა (თვითშეფასების ანგარიში გვ. 11). ამრიგად, თვითშეფასების ანგარიშის განცხადება (გვ. 12), რომ პროგრამას არ სჭირდება გაუმჯობესება, რჩება დაუსაბუთებელი (იხილეთ ანალიზი და რეკომენდაციები სექციაში 5.1). ექსპერტთა ჯგუფს არ მიუღია კვლევის შედეგების ინგლისური თარგმანი (თვითშეფასების ანგარიში, 11), მიუხედავად მისი აშკარა მოთხოვნისა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამების საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების პროცედურა;
- სადოქტორო პროგრამის აღწერა;
- ინდივიდუალური კურსების სილაბუსები;
- განმცხადებლის კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმები;
- ინდივიდუალური სამუშაო გეგმა;
- სასწავლო და კვლევითი კომპონენტები;
- ინსტრუქცია დისერტაციისა და აბსტრაქტისთვის;
- საგანმანათლებლო პროცესის მენეჯმენტის ინსტრუქცია;
- სადოქტორო პროგრამების დებულებები;
- პროგრამის სწავლის შედეგები, შეფასების მექანიზმი და სამიზნეები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, 1.1 და 1.2 პუნქტებში, პროგრამის საგანმანათლებლო ნაწილის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება, ძირითადად, მიჰყვება უმაღლესი სასწავლებლის მითითებებს და სახელმძღვანელოს (იხ. თვითშეფასების ანგარში, 11f, დოქტორანტურის პროგრამის აღწერა, სადოქტორო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების პროცედურა, ნაწილი 2.1, ინსტრუქცია სასწავლო პროცესის მართვის შესახებ). ყველა ინდივიდუალურ კურსს ენიჭება კარგად განსაზღვრული ECTS ოდენობა და პროგრამის მთელი საგანმანათლებლო ნაწილი შედგება 50 ECTS-ისგან; უფრო მეტიც, პროგრამას მთლიანობაში სჭირდება არანაკლებ სამი წელი. ყოველივე ეს შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს. კურსების მოცულობა შეესაბამება სასწავლო ციკლის ხასიათს, მაგრამ შინაარსი მოიცავს ძალიან ბევრ შესავალ კურსს და ძალიან ცოტა სპეციალიზებულ კურსს სპეციალიზებულ მეთოდოლოგიურ კითხვებზე და საქართველოს ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებულ თემებზე (დაწვრილებით იხილეთ ნაწილი 1.5). ცალკეული სპეციალიზებული კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად უწყობს ხელს პროგრამის მთავარი მიზნის მიღწევას, ანუ დისერტაციის დასრულებას საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ, თუმცა მათთვის გამოყოფილი ECTS ოდენობა ძალიან მცირეა (იხ. ზემოთ). ეს პრობლემა აუცილებლად უარყოფითად აისახება ამ პროგრამის მიერ მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე. რაც შეეხება პროგრამაზე დაშვების მოთხოვნების პრობლემას, იხილეთ ანალიზი 1.1 და 2.1-ში და რეკომენდაციები 2.1-ში. ამ კონტექსტში, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ სადოქტორო პროგრამების საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების პროცედურა ადგენს, რომ დისერტაციისთვის კვლევითი შეთავაზება უნდა შემუშავდეს სწავლის პირველი წლის მეორე სემესტრში (იხ. კვლევის კომპონენტები, 3.4.), რაც

განსხვავდება იმისგან, რაც წერია სადოქტორო პროგრამის აღწერაში, გვ. 2 და ეწინააღმდეგება იმას, რაც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში, გვ.11. როგორც სპეციალიზებული მეთოდოლოგიური კურსების სილაბუსები და საქართველოს ეკლესიის ისტორიის კურსები გვიჩვენებს, პროგრამა ითვალისწინებს კვლევის ახალ მიგნებებს და ამ სფეროში თანამედროვე მიღწევებს, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით ყველა ზოგად კურსზე, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი მეტად გაცნობითი ხასიათის კურსებია. გარდა ამისა, პროგრამას მთლიანობაში, ანუ სტუდენტებსა და მასწავლებლებს, აქვს ინტერნაციონალიზაციის საკმაოდ დაბალი დონე, როგორც ამას თვითშეფასების ანგარიშში, გვერდებზე - 20 და 22 დასტურდება. თვითშეფასების ანგარიში და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ პროგრამა ნამდვილად არის თანამშრომლობითი პროცესის შედეგი.
აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ ბალანსი საქართველოს ეკლესიის ისტორიის ზოგად (მეთოდური, კომუნიკაციური და სასწავლო) კურსებსა და სპეციალიზებულ კურსებს შორის მორგებული იყოს პროგრამის სპეციალიზებულ, სადოქტორო დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამების საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების პროცედურა;
- სადოქტორო პროგრამის აღწერა;
- ინდივიდუალური კურსების სილაბუსები;
- განმცხადებლის კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმები;
- ინდივიდუალური სამუშაო გეგმა;
- სასწავლო და კვლევითი კომპონენტები;
- ინსტრუქცია დისერტაციისა და აბსტრაქტისთვის;
- საგანმანათლებლო პროცესის მენეჯმენტის ინსტრუქცია;
- სადოქტორო პროგრამების დებულებები;
- პროგრამის სწავლის შედეგები, შეფასების მექანიზმი და სამიზნეები;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, პროგრამამ გადაჭრას კვლევის პროექტთან დაკავშირებული არათანმიმდევრულობის საკითხი.
- პროგრამამ უნდა დანერგოს სპეციალიზირებული კურსები კვლევის მეთოდოლოგიასა და დამხმარე დისციპლინებში, რომლებიც აუცილებელია ქართული ეკლესიის ისტორიის შესასწავლად (იხილეთ სადოქტორო პროგრამის აღწერა, 2), რათა დოქტორანტებს მიეცეთ სწავლის ამ სფეროს სიღრმისეული ცოდნა. საუკეთესო ვარიანტი იქნება დისერტაციის კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული კონსულტაციებით მუშაობა.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- პროგრამამ უნდა შეიმუშაოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, არამხოლოდ საეკლესიო კონტაქტების გაძლიერებით, არამედ სხვა უნივერსიტეტებთან კონტაქტითაც.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☒	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

ცალკეული კურსების სილაბუსები ავლენს, რომ თითოეული კურსის სწავლის ყველა შედეგი სათანადოდ არის შეფასებული. სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები განახლებულია და შეესაბამება ცალკეული კურსების სწავლის შედეგებს. თუმცა, ლიტერატურის უმეტესი ნაწილი ქართულ ენაზეა (და გამოცემულია ქართული გამომცემლობების მიერ) და, შესაბამისად, სრულად არ შეესაბამება ამ დარგის სადოქტორო პროგრამის საერთაშორისო თანამედროვე დონეს.
ზოგადად, ზოგიერთი კურსის შინაარსი არ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (PhD). ზოგიერთი მეთოდოლოგიური კურსი შეიცავს ელემენტებს, რომლებიც უფრო მეტად მიეკუთვნება ბაკალავრიატის კურსებს (მაგ. კურსში „სამეცნიერო კომუნიკაცია: ინფორმაციის მოძიების გზები, სამეცნიერო ტექსტი, სამეცნიერო კვლევის წყაროები, სამეცნიერო ნაშრომის სახეები, აბსტრაქტი და სქოლიო; კურსში საღვთისმეტყველო მეთოდები: სამეცნიერო კვლევის ძირითადი ცნებები, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება კვლევაში, ემპირიული და თეორიული კვლევის მეთოდები, სამეცნიერო ლიტერატურის მოძიების სტრატეგიები, პირველადი, მეორადი და მესამეული წყაროები, ჰერმენევტიკა). იგივე ეხება კურსის „შედარებითი თეოლოგიის“ ზოგიერთ ელემენტს (მაგ.: ძირითადი დასავლური კონფესიები, ეკლესიების დაყოფა მე-11 საუკუნეში, რომის კათოლიკური ეკლესიის ძირითადი სწავლებები და პროტესტანტული კონფესიები). ამავე დროს, სხვა ელემენტებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ სფეროში სადოქტორო კვლევისთვის, არ აქვთ გამოყოფილი საკმარის კრედიტი ამ სფეროში სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად (განსაკუთრებით ძველი ქართულის სიღრმისეული ცოდნა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვა ასპექტები). ამ ფონზე ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება თვითშეფასების ანგარიშის გვ.12-ის განცხადებებს, რომ პროგრამა აკმაყოფილებს დოქტორანტურის მოთხოვნებს და არ არის საჭირო გაუმჯობესება (თვითშეფასების ანგარიში, 13). იხილეთ ასევე ნაწილი 1.2 დამატებითი მაგალითებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- კურსების სილაბუსები;
- სადოქტორო პროგრამის აღწერა.

რეკომენდაციები:

- პროგრამამ მკაფიოდ უნდა განასხვაოს ერთმანეთისგან თეოლოგიაში არასაკმარისი აკადემიური განათლების მქონე სტუდენტებისთვის განკუთვნილი შესავალი კურსები და დოქტორანტურის დონის სასწავლო კურსები. შესავალი კურსები უნდა იყოს წინასწარი პროგრამის ნაწილი, ხოლო მეორე უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის ნაწილი და მოერგოს დოქტორანტების სპეციალურ საჭიროებებს.
- პროგრამამ კრიტიკულად უნდა შეხედოს ქართული ეკლესიის ისტორიის დოქტორანტურისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე უნარებსა და კომპეტენციებს და ინდივიდუალური კურსების შინაარსის ადაპტაცია მოახდინოს შესაბამისად.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	☐	☐	☒

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☒

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-მ დააწესა საჯარო, სამართლიანი და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას; დაწესებულების ცნობით, პროგრამაზე მიღება შეუძლია მაგისტრის (ან თანაბარი აკადემიური) ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს სტუ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს დოქტორანტურაში მისაღებად. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს კვლევის პროექტი, რომელშიც აღწერილი იქნება კვლევის მიმართულება და მიზანი; ასევე გათვალისწინებული იქნება საგანმანათლებლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ასევე ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. ყველა დოკუმენტის განხილვის შემდეგ, განმცხადებელს გასაუბრება უტარდება ფაკულტეტის დროებით კომიტეტთან, სადაც ფასდება მისი ზოგადი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. ექსპერტებს ჰქონდათ გარკვეული კითხვები პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით. თუმცა, უსდ-ის წარმომადგენლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სადოქტორო პროგრამის დებულებაში გარკვეული ცვლილებები შევიდა. განახლებულ დებულებაში ნათქვამია, რომ „განმცხადებლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შერჩეული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციას“ (მუხ. 3.5, ინგლისური ვერსია; იქვე ქართულ ვერსიაში სხვაგვარად არის ნათქვამი: „შეესაბამებოდეს შერჩეული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციას“ ეხება მხოლოდ რეგულირებად პროფესიებს; ეს სავარაუდოდ დებულების ძველი ვერსიაა). შესაბამისად, მოწოდებული დოკუმენტები ინგლისურ და ქართულ ენებზე უნდა ასახავდეს ერთსა და იმავეს, ხოლო განახლებული ქართული ვერსია უნდა აიტვირთოს უსდ-ს ვებგვერდზე). მიუხედავად ამისა, მაშინაც კი, თუ ეს პრობლემა გამოწვეულია თარგმანის უზუსტობით, სადოქტორო პროგრამის აღწერა (გვ. 2) არ განმარტავს, რას ნიშნავს აკადემიური ხარისხი, რომელიც გათანაბრებულია თეოლოგიის მაგისტრის ხარისხთან. აქედან გამომდინარე, პროგრამამ უნდა განსაზღვროს, დოქტორანტობის მსურველს, თეოლოგიური კურსების და/ან მეთოდოლოგიური კურსების რამდენი კრედიტი უნდა ჰქონდეს მოპოვებული საბაკალავრო ან სამაგისტრო დონეზე, იმისათვის რომ მიიღონ სადოქტორო პროგრამაზე. უსდ-ს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, (დოკუმენტები, ინტერვიუები) პროგრამაზე მიღების ზოგიერთი წინაპირობა, განსაკუთრებით კი არსებითი კვლევის პროექტი და ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, განათლების დონესთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ პროგრამა შეიცავდეს უფრო დეტალურ ინფორმაციას, სადოქტორო პროგრამის ზოგად რეგულაციებთან ერთად (მუხ 3.5.). გარდა ამისა, უსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრების, *აპლიკანტის კვლევითი პროექტის* და მიღების შეფასების კრიტერიუმების და *დოქტორანტურის აპლიკანტთან გასაუბრების შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების* წარდგენის შემდეგ, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული შეფასება უნდა შეიცავდეს უფრო მეტ დეტალს, სამართლიანი შეფასებისთვის და ამგვარად იცავდეს უნივერსიტეტის სამართლებრივ ფომებსა და/ან რეგულაციებს. დაბოლოს, ყველა საჭირო ინფორმაცია (ჩასაბარებელი დოკუმენტები, მისაღები წინაპირობები და ა.შ.) უნდა განთავსდეს უსდ-ის ვებგვერდზე. ყველა ზემოაღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს ინფორმაციის მიწოდებას წინაპირობებისა და მიღების პროცედურების შესახებ, გახდის მას უფრო გამჭვირვალეს და ხელმისაწვდომს და მისცემს განმცხადებლებს უფრო რეალისტურ სურათს იმის შესახებ, თუ რას მოელიან მათგან. რაც შეეხება აპლიკანტის გასაუბრებას ფაკულტეტის დროებით კომიტეტთან, პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აპლიკანტები ფასდებიან დისერტაციასთან და საგანმანათლებლო სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი

რეკომენდაციას უწევს ძირითადი თემების შემუშავებას და შეფასების კრიტერიუმების დადგენას, რაც შეფასებას უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის.
უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა მოსაზრება დოქტორანტების მიერ ძველი ქართული ენის ცოდნის თაობაზე, რადგან ეს მჭიდრო კავშირშია საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლასთან. შესაბამისად, ძველი ქართულის პასიური ცოდნა ან უნდა იყოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ნაწილი, ან უნდა შევიდეს პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტში. ეს დაადასტურეს უსდ-ს წარმომადგენლებმა.
უნივერსიტეტი ადგენს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების პროპორციის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, პროგრამის სპეციფიკისა და უნივერსიტეტის რესურსების გათვალისწინებით და სასწავლო პროცესების შეუფერხებლად მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად. ვაკანტური ადგილების განსაზღვრა რეგულირდება სამართლებრივი აქტებით და იგეგმება სისტემურად. მასში ჩართულია ფაკულტეტის შესაბამისი აკადემიური განყოფილება, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, ფაკულტეტის დეკანი და პრორექტორი. დოქტორანტურის დებულების თანახმად, „ვაკანტური ადგილების რაოდენობა, განაცხადის შეტანისა და მიღების ვადა, ფაკულტეტის დროებითი საბჭოების წევრები და ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები მტკიცდება კათედრის მიერ წარდგენილი აკადემიური საბჭოს მიერ “ (მუხ. 2.5). დოქტორანტურაში მისაღები სავარაუდო ადგილების რაოდენობა განისაზღვრება გამოცხადებამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე. სტუდენტების მიღება პროგრამაზე ხორციელდება სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეგულაციები;
- განმცხადებლის კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმები;
- სტუდენტთა მიღებისა და მობილობის ინსტრუქცია;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ პროგრამამ შეიმუშაოს მასზე დაშვების მეტად ზუსტი და მკაცრი მოთხოვნები იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ აქვთ მაგისტრის ხარისხი თეოლოგიაში. კერძოდ, პროგრამაში უნდა იყოს მითითებული, თუ თეოლოგიისა და მეთოდოლოგიური კურსების რამდენი ECTS არის საჭირო, რომ სტუდენტი დაიშვას პროგრამაზე.
- დოქტორანტურის განახლებული რეგულაცია უნდა აიტვირთოს უსდ-ს ვებგვერდზე;
- რეკომენდებულია, შემუშავდეს დეტალური კრიტერიუმები პროგრამაზე დასაშვებად წარსადგენი კვლევითი პროექტის შეფასებისთვის.
- ფაკულტეტის კომიტეტთან აპლიკანტის ინტერვიუსთვის უნდა შემუშავდეს და დოკუმენტურად აღიბეჭდოს ძირითადი თემები და შეფასების კრიტერიუმები.
- პროგრამაზე დაშვების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია უნდა განთავსდეს ვებგვერდზე თანმიმდევრულად (არ უნდა იყოს სხვაობა ქართულ და ინგლისურენოვან ინფორმაციას შორის).

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- პროგრამაზე დაშების მოთხოვნების გამკაცრებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის რეალიზება შესაძლებელია წინასწარი პროგრამის შემუშავებით, რომელშიც იქნება შესავალი კურსები თეოლოგიასა და მეთოდოლოგიაში, რათა ამით მოხდეს ამ სფეროში სტუდენტთა ცოდნის ნაკლებობის კომპენსაცია. სადოქტორო პროგრამის არსებული კურსების ელემენტების გამოყენება შეიძლება ამის განსახორციელებლად.
- წარდგენამდე უსდ-მ სათანადოდ უნდა გადახედოს დოკუმენტებს, რადგან ზოგიერთი ქართულენოვანი დოკუმენტის შინაარსი ინგლისური ვერსიის იდენტური არ არის.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამის სასწავლო ნაწილში შევიდეს ძველი ქართულის სწავლება. ეს უნდა შეფასდეს სამართლიანად და გამჭვირვალედ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო
და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის დებულების მიხედვით, დოქტორანტურის საგანმანათლებლო კომპონენტის მიზანია ხელი შეუწყოს დოქტორანტის კვლევის კომპონენტის სათანადო ხარისხს, რაც ხორციელდება ტრანსფერული უნარების განვითარებით და დარგის უახლესი საკითხების/ტენდენციების შესახებ ცოდნის გაღრმავებით. იგი ასევე ითვალისწინებს მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევის კომპონენტის სწორად დაგეგმვისა და განხორციელებისთვის (მუხლი 6.3).
სწავლების მეთოდების, სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის საღვთისმეტყველო მეთოდების კურსები მიმართულია მეცნიერული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარების განვითარებაზე. რაც შეეხება არჩევით სასწავლო კურსებს, ისინი მიზნად ისახავს სწავლის სფეროში ცოდნის გაღრმავებას, ცოდნის მიწოდებას უახლეს მიღწევებზე (მაგ.: კურსი „საქართველოს ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები“) და მეცნიერული აზროვნების განვითარებას (მაგ.: კურსი „შედარებითი თეოლოგია“). თუმცა, ზოგიერთი კურსი ნაწილობრივ უფრო ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის დონეს ეკუთვნის, ვიდრე დოქტორანტურას. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელობას, რომ ეს კურსები შეუსაბამოს სწავლის დონეს და პროგრამის საგანმანათლებლო ნაწილის კურსების შესავალი გადაიტანოს პროგრამის დაშვების წინაპირობებში (იხ. რეკომენდაციები და წინადადებები ამ ანგარიშის 1.1, 1.2 და 1.5 სტანდარტებისთვის).

რაც შეეხება კვლევის კომპონენტს, დოქტორანტურის წესდებაში მითითებულია, რომ მისი მიზანია პროფესიული კვლევის კულტურის ჩამოყალიბება და განვითარება (მუხ. 6.4). თემატური სემინარი, პროფესორის ასისტირება, დისერტაციაზე მუშაობის მთელი პროცესი, კოლოკვიუმი -1,2,3, ნაშრომის წინასწარი დაცვა, დასრულება და დაცვა ხელს უწყობს კვლევისა და საშემსრულებლო უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას.

ყველა ზემოთ აღნიშნული აქტივობა შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

დოქტორანტურის დებულების თანახმად, დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატია სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითად შედეგებზე, საიდანაც მინიმუმ ერთი უნდა გამოქვეყნდეს Web of Science-ში, Scopus-ში, Google Scholar-ში ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიერ მოწოდებული სხვა შესაბამის მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში (მუხ. 8.4). თუმცა, არ არის აღნიშნული თუ სად იქნება მონაცემთა ბაზები ჩამოთვლილი, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადგინა მათი შესაბამისობა სწავლის სფეროსთან. უფრო მეტიც, ტრანსფერული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით, პროგრამის/დოქტორანტურის დებულებაში მოთხოვნილი უნდა იყოს დოქტორანტების მონაწილეობა მინიმუმ ერთ საერთაშორისო კონფერენციაში. დოქტორანტებს ასევე უნდა შეეძლოთ ნათლად წარმოადგინონ და მიაწოდონ იდეები, კვლევის შედეგები და ა.შ. არა მხოლოდ ადგილობრივ კოლეგებს, არამედ საზღვარგარეთაც. ამ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით საქართველოს ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამისთვის, რადგან მისი კვლევის სფერო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც (მაგალითად: საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები). დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს ინგლისური ენის კომპეტენციების განვითარებას მინიმუმ C1 დონეზე („C1 დონე შეესაბამება ენის მაღალი დონის მცოდნეებს, ანუ მათ, ვისაც შეუძლიათ შეასრულონ სამუშაოსთან და სწავლასთან დაკავშირებული რთული ამოცანები“[2], ეს შესაძლოა უფრო აქტუალური იყოს მესამე საფეხურისთვის, ვიდრე B2-დონისთვის) ან უფრო ზემოთ. ასევე, ზოგიერთ დოქტორანტს შესაძლოა დასჭირდეს ძველი ქართულის ცოდნის გაღრმავება, ხელნაწერებთან მუშაობის უნარები და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს უნარები და ცოდნა მხოლოდ ნაწილობრივ არის რეალიზებული პროგრამაში. დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმაც აჩვენა, რომ პროგრამამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ინტერნაციონალიზაციას. უნივერსიტეტმა წარმოადგინა სამეცნიერო ხელშეკრულებების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს ვატოპედის მონასტერთან შეთანხმება. ხელშეკრულების თანახმად, ეს იძლევა წვდომას წმინდა ათონის და, კერძოდ, ვატოპედის ბიბლიოთეკაზე. თუმცა, ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტებს ჯერ არ გამოუყენებიათ ეს შესაძლებლობა (ბიბლიოთეკა). ამიტომ, პროგრამამ უნდა წაახალისოს სტუდენტები, გამოიყენონ ეს შესაძლებლობები, ასევე მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში (როგორიცაა Erasmus +, DAAD და ა.შ.). სააკრედიტაციო ვიზიტისას უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამყარებენ კავშირებს მიუნხენის კონკრეტულ უნივერსიტეტთან, მაგრამ ექსპერტებს მეტი მტკიცებულება სჭირდებათ აღნიშნული თანამშრომლობის დონისა და მისი სტრუქტურული ხასიათის შესაფასებლად. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა გარკვეული ინფორმაცია წარმოადგინა საზღვარგარეთის მსგავსი პროგრამების შესახებ, მაგრამ მათი კავშირი განსახილველ პროგრამასთან გაურკვეველი დარჩა. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გაუწია ქვეყნის შიგნით მსგავს პროგრამასთან კავშირების გაძლიერებას, რადგან ეს ბევრად უფრო ადვილია და ნაკლებ დაფინანსებას მოითხოვს. ეს კავშირები უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის უფრო მეტ ექსპერტს პროგრამისთვის (ხელმძღვანელებისა და ლექტორების პროპორცია დამატებითი სასწავლო კურსებისთვის...) და ხელს შეუწყობს მის განვითარებას. თანამშრომლობა უნდა იყოს სამართლებრივად შედგენილი და შეთანხმებებით მხარდაჭერილი.

[2] განმარტება ბრიტანეთის საბჭოს ვებგვერდიდან (https://www.britishcouncil.es/en/english/levels/c1 (28.10.2022)

დაბოლოს, გასაუბრებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათ მოამზადეს სამეცნიერო ნაშრომები და ჩართულები არიან სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში. მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის მოთხოვნისა, პროგრამას არ წარმოუდგენია ამ სამეცნიერო/შემოქმედებით/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე დოკუმენტაცია (სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები; საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობის დამადასტურებელი ინფორმაცია და მტკიცებულება და ა.შ., დარგის შესაბამისად განხორციელებული შემოქმედებითი/შემსრულებელი პროექტები; დაფინანსებული, მიმდინარე/გეგმიური სამეცნიერო-კვლევითი პროექტები და სტუდენტების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები). სტუდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი ჩართულნი არიან სამეცნიერო პროექტებში, რომელსაც აფინანსებს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ერთმა სტუდენტმა წარმოადგინა თავისი წიგნი შესაბამისი საერთაშორისო მიმოხილვებით. ასევე, ექსპერტებმა მიმოიხილეს დარგთან დაკავშირებული დაცული დისერტაციები და მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომები. ყველა მათგანი ქართულად იყო დაწერილი და მხოლოდ მოკლე რეზიუმე ახლდა, შედგენილი არც თუ გამართული ინგლისური ენით. ეს აჩვენებს სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის ამაღლების აუცილებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის დებულება;
- თანდართული სილაბუსები;
- დაცული დისერტაციები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- უსდ-მ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ სულ მცირე, ერთ საერთაშორისო კონფერენციაში, ფორუმში, კონგრესზე ან სიმპოზიუმში მონაწილეობა დოქტორანტისთვის სავალდებულო იყოს.
- უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სტრუქტურული თანამშრომლობა სასულიერო დაწესებულებებთან ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.
- სტუდენტები მეტად ჩართულნი უნდა იყვნენ სამეცნიერო/კვლევით/შემოქმედებით პროექტებში (როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე) პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ ხელი შეეწყოს დოქტორანტების ენობრივი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☐	☒	☐

2.3. სწავლების-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებულია სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროს და დონეს. მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ინტერაქციაში და პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევაში. სწავლების/სწავლის მეთოდები შეესაბამება იმ კურსებს, რომლებშიც ისინი ხორციელდება და უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგების მიღწევას. რაც შეეხება სწავლების მეთოდების შესაბამისობას უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებთან, მათი გამოყენება შესაძლებელია დისტანციური სწავლებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს ელექტრონული ბიბლიოთეკების განახლებულ მონაცემთა ბაზებზე წვდომა და პროგრამა წარიმართოს არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ციფრული რესურსებითაც, რაც უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების განხორციელებას პროგრამის სწავლის შედეგების შეცვლის გარეშე. უსდ-ს აქვს ელექტრონული სწავლების პორტალი (elearning.gtu.ge), რომელიც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ატვირთონ სასწავლო მასალა, შექმნან ინტერაქტიული აქტივობები სტუდენტებისთვის (დავალებები, ტესტები და ა.შ.), მართონ სალექციო თემები და გააკეთონ უკუკავშირი, რაც ხელს უწყობს სწავლების/სწავლის პროცესს. ამავდროულად, პლატფორმა ხელს უწყობს სტუდენტებს სასწავლო მასალაზე მუშაობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- თანდართულ სილაბუსებში ასახული სწავლების-სწავლის მეთოდები;
- უსდ-ში პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული ელექტრონული რესურსები;
- ვებგვერდი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. იგი გამჭვირვალე, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისია.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასება არის გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემით - ECTS. 1 კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს, რაც აისახება თითოეული კურსის სილაბუსში;
პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. თითოეული საგანმანათლებლო კომპონენტი არის 50 კრედიტიანი. კვლევის კომპონენტს არ აქვს კრედიტები.
პროგრამის სილაბუსებში ასახული შეფასების კომპონენტები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები სანდო და სამართლიანია ყველა სტუდენტისთვის.
უნივერსიტეტმა დაადგინა მოთხოვნები დისერტაციისთვის, რომელიც დეტალურად და გამჭვირვალედ აღწერს ინსტრუქციებს სამუშაოს ფორმის შესახებ.
სადოქტორო დებულებისა და პროგრამის მიხედვით, დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ოთხი ეტაპი:
1) პროექტი/პროსპექტუსი;
2) კოლოკვიუმი - 1, 2, 3 (კოლოკვიუმში უნდა აისახოს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები);
3) დისერტაციის წინასწარი დაცვა;
4) დისერტაციის შესრულება და დაცვა.
დოქტორანტი იწყებს თავის კვლევით კომპონენტს მეორე სემესტრში. სამეცნიერო კომპონენტის თითოეული ეტაპი არის შემდეგი ეტაპის სავალდებულო წინაპირობა. კონკრეტული ეტაპის შესრულებას ადასტურებს სამეცნიერო ხელმძღვანელი ელექტრონულ სისტემაში. მნიშვნელოვანია, რომ კოლოკვიუმების შეფასებას ახორციელებს კომისია (5-7 ადამიანი, მათ შორის პედაგოგიური პერსონალი), რომელიც კათედრის წარდგენის საფუძველზე მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. სადოქტორო დებულება ითვალისწინებს კოლოკვიუმის ონლაინ ჩატარების შესაძლებლობას, ასევე ონლაინ კონსულტაციებს ხელმძღვანელთან პროსპექტუსზე/კოლოკვიუმზე/თეზისზე მუშაობის პროცესში.
უსდ-მ დაადგინა მოთხოვნები დისერტაციის აკადემიური სტილის მიმართ, რომლებიც წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის და გათვალისწინებულია მათი დისერტაციების შეფასებისას;
უნივერსიტეტს აქვს პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმი.
სადოქტორო პროგრამის დებულების თანახმად, „რეცენზენტი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მათ შორის მოწვეული პერსონალი, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის უფროსი/უფროსი მეცნიერი-თანამშრომლი), რომელსაც აქვს სამეცნიერო კვლევის გამოცდილება და გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დარგის/სპეციალობის/მიმართულების

პუბლიკაციები“ (მუხ. 9.3), რაც კარგი პრაქტიკაა. ასევე „რეცენზენტი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს თანაავტორი. დაუშვებელია, რომ ორივე რეცენზენტი იყოს რომელიმე ორგანიზაციის ერთი და იგივე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი, ასევე დისერტაციის დაცვის საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე ან მდივანი“ (მუხ. 9.4). თუმცა, უსდ-ს პროფილი არ არის თეოლოგია და მას არ გააჩნია საკმარისი თეოლოგიური სამეცნიერო შესაძლებლობები სხვა დეპარტამენტების/ფაკულტეტების დარგის სპეციალისტების ჩართვისთვის. ასე რომ, პროგრამისთვის მნიშვნელოვანია დისერტაციის შეფასებაში გარე შემფასებლ(ებ)ის, უნივერსიტეტის გარეთ მყოფი სპეციალისტების ჩართვა;

დისერტაციის დაცვა არის საჯარო ღონისძიება, რომელიც ტარდება სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. მნიშვნელოვანია, რომ მოხსენებებისა და გამოსვლების ვადა არ იყოს წესად დადგენილი ყველა დაცვისთვის, არამედ რეგულირდებოდეს საბჭო სხდომაზე თავმჯდომარის წინადადების თანახმად. არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს წარმოადგინოს შესწორებული ნაშრომი ერთ წელიწადში. უსდ-მ ჩამოაყალიბა სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები, რომლებიც გამჭვირვალე და სამართლიანია.

ყველა ზემოთ ნახსენები ინფორმაცია საჯაროა და ატვირთულია უსდ-ის ვებგვერდზე.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები, რომლებიც ასახავს პროგრამის შეფასებას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა კრიტიკული ასახვის ნაკლებობა; უფრო მეტიც, კვლევა არ მოიცავს რაიმე ანალიტიკურ დოკუმენტს. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-მ წარმოადგინა ოქმები, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, შეფასების შედეგებისა და ამ ანალიზის საფუძველზე ცვლილებების გაანალიზების მტკიცებულება არ ჩანს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის დებულება;
- შეფასების კომპონენტები და მეთოდები, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამაზე თანდართულ სილაბუსებში;
- დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი რეფერატის ფორმების ინსტრუქცია;
- ინსტრუქცია დოქტორის ხარისხის მისაღებად წარდგენილი დისერტაციის ფორმატის შესახებ.
- საგანმანათლებლო პროცესის მართვის დებულება;
- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული პორტალი - https://vici.gtu.ge/;
- ვებგვერდი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- უნდა გაუმჯობესდეს სტუდენტის შეფასების შედეგების ანალიზი;
- სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში, რეკომენდებულია, ჩართული იყოს უსდ-ს გარედან მოწვეული დარგის სპეციალისტი (იხილეთ 4.2 სტანდარტის რეკომენდაციაც).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4. სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტების შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს მათ ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სათანადო ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

3.1 სტუდენტთა კონსულტაციები და მათი მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში, პროგრამაში ჩართული ადამიანებისგან ან/და უსდ-ის სტრუქტურული ერთეულებიდან. სტუდენტს აქვს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის მიღების შესაძლებლობა. მას შეუძლია მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და „თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე გაირკვა, რომ:
სტუდენტები, აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით, იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას ამ პროგრამის ლექტორებისგან, უნივერსიტეტის სტუდენტური ელექტრონული პორტალის და ვებგვერდის მეშვეობით. აღნიშნული გზით მათ ასევე აქვთ ინფორმაცია კონფერენციების, დასაქმების შესაძლებლობებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ. სტუდენტები ასევე იღებენ უკუკავშირს მათი ლექტორებისგან, თუ როგორ გაუმჯობესონ აკადემიური მოსწრება. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა გასაუბრებამ გამოავლინა, რომ არცერთ მათგანს არ მიუღია

მონაწილეობა სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში. გამოკითხვები, რომლებსაც უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს, აჩვენებს, რომ სტუდენტები კმაყოფილები არიან უნივერსიტეტით, სასწავლო პროცესით და სასწავლო გარემოს განვითარებით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ გამოკითხვები არ შეესაბამება დოქტორანტების საჭიროებებსა და გარემოებებს. კონკრეტულად, არ ჩანს თუ რას ფიქრობენ ისინი სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პროცესზე და ხელმძღვანელთან ურთიერთობაზე. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს უნივერსიტეტს, პროგრამის ფარგლებში შეიმუშავოს კითხვარი უშუალოდ დოქტორანტურაში სწავლის სპეციფიკის გათვალისწინებით. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ აქვთ ადგილობრივ, მაგრამ არა საერთაშორისო დონეზე კონფერენციებში ჩართვისა და მონაწილეობის გამოცდილება. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი პროგრამაში ჩართულ ლექტორებს ურჩევს გააააქტიურონ სტრატეგია აღნიშნული მიმართულებით, რათა სტუდენტები ჩაერთონ სამეცნიერო აქტივობებსა და კონფერენციებში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე (დეტალური შეფასებისთვის და ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის, იხილეთ სექციები 2.1 და 5.3).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საკრედიტაციო ვიზიტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, პროგრამაში განხორციელდეს მეტი ინიციატივა სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში ჩართვის მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.1 სტუდენტების კონსულტაცია და მათი მხარდაჭერის სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განხორციელდეს სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც, ინტერვიუების თანახმად, სადოქტორო პროგრამის განმავლობაში მუდმივ და აქტიურ კომუნიკაციაში არიან სტუდენტებთან და ეტაპობრივად აკვირდებიან მათ. ამასთან, ხელმძღვანელის ფუნქცია/მოვალეობები განისაზღვრება დოკუმენტით - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის დებულება, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ხელმძღვანელი ვალდებულია რეგულარულად ჩაატაროს კონსულტაციები დოქტორანტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და საკვლევ თემას. როგორც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, ხელმძღვანელებთან დაკავშირება მათთვის მარტივი პროცესია და ამ მხრივ მუდმივად იგრძნობა მათი მზადყოფნა. ამასთან, დებულების მიხედვით, ხელმძღვანელი ვალდებულია სტუდენტს ურჩიოს კვლევის მეთოდოლოგია, დიზაინი, სტრუქტურა და დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურა. ამისთვის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებს, რომლებზეც წვდომა აქვთ უნივერსიტეტიდან. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების დებულების თანახმად, ყველა სადოქტორო დისერტაცია მოწმდება პლაგიატზე და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს სტუდენტს უფლება დაიცვას თავისი დისერტაცია.

აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტების მიღება საკმაოდ დაბალია (სულ 9 სტუდენტი სწავლის მინიმუმ სამი წლის განმავლობაში). ეს გულისხმობს, რომ ერთი მხრივ, დოქტორანტები იღებენ ყველა მხარდაჭერას, რომელიც მათ სჭირდებათ კვლევის წარმატებით დასრულებისთვის და რომ ხელმძღვანელების დატვირთვა არ არის ძალიან მაღალი სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. ეს დაადასტურა სტუდენტებთან და მათ ხელმძღვანელებთან გასაუბრებამ. თუმცა, მეორეს მხრივ, დოქტორანტების (ძალიან) მცირე რაოდენობის გამო, ისინი შეიძლება გარკვეულწილად იზოლირებულად გრძნობდნენ თავს, რადგან რეგულარულად ვერ ხვდებიან იმავე დარგის სხვა დოქტორანტებს, რომლებთანაც მათ ფორმალურად თუ არაფორმალურად შეეძლებათ საუბარი კვლევის პროგრესზე. მიუხედავად იმისა, რომ დოქტორანტებს ეს პრობლემა არ წამოუწევიათ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამისთის კარგი იქნება საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების იმავე დარგის (თეოლოგიის) სტუდენტებთან უფრო მეტი აკადემიური ურთიერთქმედება.

სადოქტორო პროგრამის დებულების მიხედვით, სტუდენტის ნაშრომი ფაკულტეტის მიერ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და უნდა იყოს საჯარო. თუმცა ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ ინფორმაცია იმ სტუდენტთა შესახებ, რომლებმაც დაიცვეს სადოქტორო დისერტაცია, ხოლო აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა ნაშრომები არ არის განთავსებული. ამდენად, ეს არის უნივერსიტეტის მიერ საკუთარი დებულების დარღვევა. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ პროგრამამ დაიცვას სადოქტორო პროგრამის დებულებით განსაზღვრული პროცედურა.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	**3**
მაგისტრანტთა/დოქტორანტთა რაოდენობა	**9**
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამის დებულება;
- სააკრედიტაციო ვიზიტი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ შემოწმდეს სადოქტორო პროგრამის რეგულაციით განსაზღვრული წესების შესრულება, კერძოდ სადისერტაციო ნაშრომისა და მისი აბსტრაქტის ბიბლიოთეკასთან გადაცემასა და ფაკულტეტის ვებგვერდზე მათ განთავსებასთან დაკავშირებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ დაინერგოს თეოლოგიის კვლევითი სკოლა საქართველოში, სადაც ამავე დარგის (თეოლოგია) ყველა ქართული უსდ-ს დოქტორანტები მიიღებენ მონაწილეობას, იმსჯელებენ წინსვლასა და საკუთარი კვლევების შედეგებზე, ფორმალურად თუ არაფორმალურად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☒	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში;
➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ასევე შესაბამისი კომპეტენციები პროგრამის სასწავლო სფეროში. ის ასევე, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამ პროგრამის პედაგოგიური პერსონალი შედგება 7 ლექტორისაგან, რომელთაგან ხუთი სრული პროფესორია, ხოლო ხუთი ფლობს თეოლოგიის ან (ხელოვნების) ისტორიის დოქტორის ხარისხს (იხილეთ ქვემოთ მიმოხილვა და პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია). ყველა მათგანს გამოქვეყნებული აქვს არაერთი წიგნი და სტატია თავის სასწავლო სფეროში (იხ. ლექტორების რეზიუმეები). გარდა ამისა, ლექტორთა უმეტესობას აქვს სწავლის სფეროში აკადემიური კურსების სწავლების დიდი გამოცდილება. დაბოლოს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თეოლოგიის-საქართველოს ეკლესიის ისტორიის შემთხვევაში, სამი ლექტორი მსახურობს საქართველოს ეკლესიაში სხვადასხვა თანამდებობაზე. ამრიგად, მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ სტუდენტებს არასაჯარო დოკუმენტებზე წვდომაში, რაც სტუდენტებმა დაადასტურეს ინტერვიუს დროს. დასკვნის სახით, აშკარაა, რომ პროგრამის პერსონალს აქვს საგანმანათლებლო და კვლევითი კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა ამ პროგრამაზე სწავლებისთვის და სტუდენტების დასახმარებლად სწავლის შედეგების მიღწევაში. ეს სტუდენტებმა დაადასტურეს გასაუბრების დროს. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები ადასტურებს იმას, რასაც თვითშეფასება (19) აცხადებს ამ კუთხით. პროგრამის პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უდავოდ პროპორციულია დოქტორანტების საკმაოდ მცირე რაოდენობასთან (9) და პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტის შეზღუდულ ზომასთან (50 ECTS), რაც უზრუნველყოფს მის მდგრადობას. ლექტორების რეზიუმეებიდან ჩანს, რომ მათგან მხოლოდ ორი ფლობს ინგლისურს, ხოლო თვითშეფასება (19) აცხადებს, რომ ისინი მონაწილეობენ მხოლოდ რეგიონულ და ადგილობრივ სამეცნიერო სემინარებსა და კონფერენციებში. პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს, რომ აკადემიური პერსონალის დასაქმებისას მეტი ყურადღება მიექცეს ინგლისური ენის ცოდნას და მოხდეს საერთაშორისო კონფერენციებზე ნაშრომების წარდგენის სტიმულირება.
ლევან მათეშვილის რეზიუმე (თეოლოგიის დოქტორი, პუბლიკაციების ვრცელი სია, თეოლოგიისა და ეკლესიის ისტორიაში სწავლების დიდი გამოცდილება, საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარი,

ინგლისური ენის ფლობა) აჩვენებს, რომ მას აქვს პროგრამის ხელმძღვანელობისთვის საჭირო ცოდნა, კომპეტენციები და გამოცდილება. ეს დადასტურდა მასთან ინტერვიუში, რადგან მან შეძლო პროგრამის განხილვა ქართულ საზოგადოებასა და ქართულ ეკლესიაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფართო კონტექსტში.
სტუდენტებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პროგრამის პერსონალი მათ უწევს ყველა საჭირო აკადემიურ და ადმინისტრაციულ დახმარებას.
თვითშეფასება (19) აღწერს პროგრამის აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურებს, რომლებიც შეესაბამება აკადემიური დასაქმების საერთაშორისო წესებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის) რაოდენობა	**პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგის გამოცდილების მქონე პერსონალი[3]**	**მათ შორის, დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[4]**	**მათ შორის, აფილირებული პერსონალი**
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	7	5	5	2
- პროფესორი	5	3	3	2
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	0
- პროფესორის ასისტენტი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული თანამშრომელი	0	0	0	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ლექტორების რეზიუმეები;
- ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- აფილირებული პერსონალის აკადემიური დატვირთვის განაწილება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნის დონეს, მომავალში აკადემიური პერსონალის დაქირავებისას.

[3] ძირითადი სწავლის სფეროს, ამ შემთხვევაში თეოლოგიის და ისტორიის, რელევანტური კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[4] თეოლოგიის ან ისტორიის ხარისხის მქონე პერსონალი.

- პროგრამამ უნდა წაახალისოს აკადემიური პერსონალი და ხელი შეუწყოს, რომ ნაშრომები გაიტანონ საერთაშრისო კონფერენციებზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.1. ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წინა ქვეთავში ითქვა, პროგრამის კვლევის კომპონენტისთვის არის ხუთი ხელმძღვანელი (სამი სრული პროფესორი და ორი ასოცირებული პროფესორი). ყველა მათგანს აქვს დოქტორის ხარისხი პროგრამის ერთ-ერთ დისციპლინაში (თეოლოგია და ისტორია). ეს საკმარისზე მეტიც კია იმ ცხრა სტუდენტის ხელმძღვანელობისთვის, რომლებიც ამჟამად ჩარიცხულნი არიან პროგრამაში, რაც შეესაბამება თვითშეფასებაში (20) აღნიშნულ ინფორმაციას. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ შეუძლიათ ადვილად დაუკავშირდნენ ხელმძღვანელებს. თუმცა, სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელობისა და განხილვის კუთხით უსდ-ის რეგულაციების გათვალისწინებით, პროგრამაში საჭიროა უფრო მეტი აფილირებული ხელმძღვანელების ჩართვა, შესაძლოა, იმავე სფეროს სხვა ქართული უმაღლესი სასწავლებლებიდან.
როგორც თვითშეფასება (19) და სტუ-ს დებულება აჩვენებს, უსდ-მ შეიმუშავა კვალიფიკაციის გამჭვირვალე სტანდარტები ამ სფეროში (თანა) ხელმძღვანელის თანამდებობებისთვის. ეს სტანდარტები შეესაბამება დარგის საერთაშორისო მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ლექტორების საერთაშორისო წვდომა ძალიან შეზღუდულია, რაც გასაკვირი არ არის, რადგან მხოლოდ ორი მათგანი ფლობს ინგლისურ ენას. ლექტორებს აქვთ საჭირო კომპეტენციები, რომ უხელმძღვანელონ დოქტორანტებს ამ სფეროში და რეგულარულად გამოაქვეყნონ აკადემიური ნაშრომები სასწავლო სფეროში. თუმცა ინგლისური და/ან სხვა უცხოური აკადემიური ენების (მაგ. გერმანულის და ფრანგულის) შეზღუდული ცოდნა ნამდვილად შეუშლის მათ ხელს, რომ ინფორმირებულები იყვნენ ამ სფეროში კვლევის ახალი საერთაშორისო განვითარების შესახებ და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მის განვითარებაში.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	დისერტაციის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	5	5	0
- პროფესორი	3	3	0
- ასოცირებული პროფესორი	2	2	0
- პროფესორის ასისტენტი	0	0	0
მოწვეული პერსონალი	0	0	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ლექტორების რეზიუმეები;
- ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- ამ პროგრამაში დასაქმებული ისტორიის თეოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე (ასოცირებული) პროფესორების მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს მეტი აფილირებული ხელმძღვანელის დასაქმებას პროგრამაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ მეტი ინვესტიცია (ფინანსური) ჩადოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილების გასაუმჯობესებლად, რამეთუ ეს წარმოადგენს პროგრამის, ისევე როგორც სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მასტიმულირებელ საშუალებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	☐	☒	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასება (20 f.) დეტალურად აღწერს პროგრამის აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასებას და კვლევას უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე. სამწუხაროდ, ექსპერტთა ჯგუფს არ მიუღია ამ გამოკითხვების შედეგების ინგლისური თარგმანი. როგორც თვითშეფასება (4f.) გვიჩვენებს, ამ შეფასებებმა პროგრამაში გამოიწვია მრავალი ცვლილება, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს (იხ. წინამდებარე ანგარიშის ნაწილი 1.1). თვითშეფასების (21) თანახმად, აკადემიური პერსონალი იღებს მნიშვნელოვან მხარდაჭერას კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრისგან მათი კურსებისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს დასტურდება ცალკეული კურსების სილაბუსებით. ექსპერტთა ჯგუფი განსაკუთრებით აფასებს პროგრამის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებას. საერთო ჯამში, უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს აქვს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების გამართული სისტემა. თუმცა, პროგრამის თვითშეფასება არ აანალიზებს სტუდენტის მიერ კურსების შეფასების გავლენას პროგრამაში მომუშავე აკადემიური პერსონალის განვითარებაზე. თვითშეფასება (21f.) მხოლოდ აღწერს, თუ როგორ ფუნქციონირებს პროფესიული განვითარება უნივერსიტეტის/ფაკულტეტის დონეზე, მაგრამ არ აანალიზებს პროგრამაზე ასახულ მის შედეგებსა და ეფექტებს (ამ ასპექტის შესახებ რეკომენდაციებისთვის იხილეთ ნაწილი 5.1).
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება თვითშეფასების (20) განცხადებას, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, მაგრამ პერსონალის მართვის გარდა, უნდა შემუშავდეს შესაბამისი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაც. ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უცხოური უნივერსიტეტების სია, რომლებთანაც პროგრამის პერსონალმა დაამყარა კონტაქტი, ასევე მტკიცებულება საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, რომლის თანაორგანიზატორი იყო თეოლოგიის ცენტრის მიერ, მაგრამ ამ კონტაქტებისა და ინიციატივების არსი, ზომა და რაოდენობა გაურკვეველია. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, ამ კონტაქტების უკან სტრატეგია არ დგას. თვითშეფასების (22) განაცხადი, რომ აკადემიური პერსონალის წევრები მონაწილეობენ საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში, კითხულობენ ლექციებს სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებში და არიან საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრები, არ არის დასაბუთებული ლექტორების რეზიუმეებით. გარდა ამისა, ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ყველა დოქტორანტს მოეთხოვება მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციებში, მაგრამ თვითშეფასება, დამატებითი დოკუმენტები და სტუდენტებთან გასაუბრება არ გვთავაზობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ დაკმაყოფილდა ეს მოთხოვნა. პროგრამის ხელმძღვანელთან და ლექტორებთან ინტერვიუმ ვერ დააზუსტა ეს მოსაზრება. საბოლოოდ, ინტერვიუების დროს ითქვა, რომ ყველა საერთაშორისო კონტაქტი მყარდება საქართველოს ეკლესიის და არა უნივერსიტეტის გავლით. ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ ეს გარდაუვალია საქართველოში თეოლოგიის ჩამოყალიბების ფაზაზე და აფასებს პროგრამის კარგ კონტაქტებს ქართულ ეკლესიასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აუცილებლად მიიჩნევს საეკლესიო კონტაქტების შევსებას წმინდა აკადემიური კონტაქტებით, აკადემიურ სამყაროში პროგრამის საერთაშორისო ხედვის გაძლიერების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ლექტორების რეზიუმეები;
- სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლების შეფასების სისტემის მიმოხილვა;
- სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შეფასების წესი;
- ვებგვერდი - "პროფესიული განვითარების ცენტრი" (http://hpep.ge/ge/)
- უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული კონტაქტების სია;
- სილაბუსები;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის სფეროს შესაბამისი ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის კამპუსში და ბიბლიოთეკაში ვრცელმა ტურმა დაადასტურა თვითშეფასების (22) განაცხადი, რომ მატერიალური რესურსები, კერძოდ, აუდიტორიები და სემინარის ოთახები, დოქტორანტების სამუშაო ადგილები, აკადემიური პერსონალის ოფისები, საბიბლიოთეკო საშუალებები, ინტერნეტი, საბეჭდი აღჭურვილობა და ა.შ. უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სამწუხაროდ, თვითშეფასება (22) შეიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას სტუ-ს ბიბლიოთეკების შესახებ და არ გვთავაზობს რაიმე მითითებას საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალიზებულ ლიტერატურაზე წვდომის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა სტუ-ს ბიბლიოთეკაში ეს საკითხი ვერ დააზუსტა. აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა მსოფლიოს ყველა

ძირითად მონაცემთა ბაზაზე, მაგრამ გაუგებარია რას ნიშნავს ეს კონკრეტულად თეოლოგიისა და ეკლესიის ისტორიის შემთხვევაში. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს აქვთ წვდომა ათონის მთის მდიდარ ბიბლიოთეკაზე და სხვა ბიბლიოთეკებზე. თუმცა, მატერიალური რესურსების ამ ასპექტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ საქართველოს სხვადასხვა სასულიერო უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს შორის უფრო მჭიდრო სტრუქტურული თანამშრომლობა საღვთისმეტყველო სპეციალიზებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად წაადგება მატერიალურ ინფრასტრუქტურას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის შენობის, მათ შორის ბიბლიოთეკის დათვალიერება;
- ინტერვიუები;
- ბიბლიოთეკის ჟურნალის გამომწერთა სია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თეოლოგიურ უსდ-ებს შორის უფრო ახლო თანამშრომლობის შესაძლებლობების შესწავლა, დარგობრივი საბიბლიოთეკო რესურსების კუთხით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.4. მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ბიუჯეტი არ იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსების შესახებ, ექსპერტთა ჯგუფს რჩება შთაბეჭდილება, რომ პროგრამა იღებს ადეკვატურ ფინანსურ მხარდაჭერას ფაკულტეტისგან, რაც უზრუნველყოფს მის გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობას. ამას ადასტურებს პროგრამის ბიუჯეტი (თუმცა ისიც მხოლოდ მწირ ინფორმაციას გვთავაზობს) და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე დაადასტურა, რომ პროგრამა გრძელვადიან პერსპექტივაში ფინანსურად მდგრადია.

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობას შორის თანაფარდობა ნამდვილად საკმარისია პროგრამის განსახორციელებლად. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პროგრამის მუდმივ აკადემიურ პერსონალს აქვს იგივე აკადემიური უფლებები, რაც მოწვეულ ლექტორებს. ეს კიდევ უფრო ზრდის პროგრამის პერსონალის და ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ აწარმოოს უფრო დეტალური ინფორმაცია საკუთარ შემოსულობებსა და ხარჯებზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტთან

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება

ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთან გასაუბრების, ასევე სტუ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის – „თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია“ - თვითშეფასებას. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ შეირჩა პროგრამის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შემუშავდა სამუშაო გეგმა და ჯგუფის თითოეულ წევრს მიეცა დავალებები. სტანდარტების მიხედვით, შესასრულებელი სამუშაო გადანაწილდა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს შორის. თვითშეფასების ჯგუფის წევრები სისტემატურად იკრიბებოდნენ სამუშაო შეხვედრებზე ინფორმაციის დაზუსტებისა და ანალიზის მიზნით. პროცესს ხელმძღვანელობდა ჯგუფის თავმჯდომარე. თვითშეფასების ანგარიში, პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია განიხილა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებისა და წარდგენის მიზნით. სტუ-ს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჯგუფის წევრებს გაუწია კონსულტაცია და დახმარება თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის მომზადებაში. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიში ძირითადად არის ინფორმაციული და აღწერითი და ნაკლებად ანალიტიკური.

თვითშეფასების ანგარიშის (SER) მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, თანდართულ და დამატებით დოკუმენტებზე, ასევე გასაუბრების შედეგებსა და სააკრედიტაციო ვიზიტზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ დაინტერესებული მხარეები, აკადემიური პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის ჩათვლით, უფრო ეფექტურად უნდა თანაშრომლობდნენ საგანმანათლებლო პროგრამის ღრმად ანალიტიკური თვითშეფასების ჩასატარებლად. მათ უნდა შეიმუშავონ ზუსტი თვითშეფასების ანგარიში, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ძლიერ მხარეებს და გასაუმჯობესებელ სფეროებს, ასევე დაადგენს დაგეგმილ აქტივობებს და პროგრამის გაუმჯობესების ვადებს. თვითშეფასების (13, 17, და 26) განაცხადები, რომ პროგრამა არ საჭიროებს გაუმჯობესებას, არის პროგრამის თვითკრიტიკული პოტენციალის ნაკლებობის მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო პროგრამა არ ითვალისწინებს კურსების ელექტრონულად/დისტანციურად ჩატარებას, სტუ-ს დებულებაში განსაზღვრული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ელექტრონულად/დისტანციურად განხორციელების მეთოდოლოგია. ასეთი მეთოდოლოგია აბსოლუტურად აუცილებელია დღესდღეობით, კოვიდ-19-ის პანდემიის დროს და ციფრულ ეპოქაში. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ადაპტაცია და მათი სათანადო განხორციელება ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php
- სასწავლო გეგმების დაგეგმვის, შედგენის, შეფასებისა და შემუშავების წესი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი; http://gtu.ge/quality/
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის No. 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუების შედეგები;
- სტუ-ს მიერ მოწოდებული დამატებითი დოკუმენტები - სამუშაო ჯგუფის/სტუ-ს თეოლოგიის კვლევითი ცენტრის/ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები.

რეკომენდაციები:

- აკადემიურმა პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტად ეფექტურად უნდა ითანამშრომლონ, რათა ჩაატარონ ყოვლისმომცველი თვითშეფასებები და ჩამოაყალიბონ ზუსტი და დეტალური თვითშეფასების ანგარიში, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებლ მხარეებს და უფრო მეტად თვითკრიტიკულია ვიდრე აღწერითი ხასიათის.
- საჭიროა შემუშავდეს სასწავლო პროცესის ელექტრონულად/დისტანციურად განხორციელების მეთოდოლოგია. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტაცია და მათი სათანადო განხორციელება ელექტრონული/დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა

პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმებს უზრუნველყოფს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ადმინისტრირებული აკრედიტაციის პროცესი. აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამა 2016 წლის 19 ივლისის No. 57 გადაწყვეტილებით აკრედიტებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ. ხარისხის გარე შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებების

გრძელი სია აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში. ამჟამად, მოდიფიცირებული პროგრამა მოიცავს რეკომენდაციებსა და ექსპერტთა რჩევებს, რომლებიც მოდიფიკაციის პროცესში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა პროგრამის განვითარებისთვის გამოსადეგად მიიჩნია. პროგრამაში მონაწილე აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა გამოიყენა ხარისხის გარე შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად - პროგრამის პროექტი შესაფასებლად გადაეცა დამსაქმებლებს.
უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა მიიღოს და განიხილოს განმავითარებელი მიმოხილვა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში/სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მომუშავე ადგილობრივი და უცხოელი კოლეგებისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი;
- წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში, შედგენილი 2016 წელს; https://eqe.ge/ka/decisions/6166/show
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 2016 წ.; https://eqe.ge/ka/decisions/6166/show
- 2016 წლის აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი; https://eqe.ge/ka/decisions/6166/show
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- პერიოდულად უნდა ჩატარდეს კოლეგიალური განხილვა ადგილობრივი და უცხოელი კოლეგების მიერ, გარე განვითარების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.2. ხარისხის გარე შეფასება	☐	☒	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების პროცესში ჩართულია ყველა მხარე. პერიოდული შეფასება ხორციელდება ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა

და ანალიზის მეშვეობით, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიკაცია. აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის შეფასება სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და ფაკულტეტმა ჩაატარეს. შეფასების პროცესში ჩართულნი იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სპეციალისტები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები. შეფასებები განხორციელდა როგორც შეხვედრებზე, ასევე კითხვარების მეშვეობით. პროგრამის შესაფასებლად მიღებული ინფორმაცია დამუშავდა, გაანალიზდა და გამოიკვეთა მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასებისა და აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში.
თითოეული ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები ანონიმურად აფასებენ (კითხვარის საშუალებით) მასწავლებელს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ანონიმური გამოკითხვა ძირითადად აფასებს სადოქტორო პროგრამის სწავლების კომპონენტს, კითხვარი არ შეიცავს კითხვებს, რომლებიც დოქტორანტებს შესაძლებლობას აძლევს ანონიმურად შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება, აგრეთვე სამეცნიერო ხელმძღვანელობა. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის ანონიმური შეფასების უზრუნველსაყოფად საჭიროა დოქტორანტთა სპეციალური გამოკითხვის ჩატარება.
აღსანიშნავია, რომ პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოსაყენებლად უნდა ჩატარდეს სამიზნე ნიშნულებთან შედარება და სადოქტორო პროგრამის პერიოდული შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php
- სასწავლო გეგმების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების დებულება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი; http://gtu.ge/quality/
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის No. 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სამუშაო ჯგუფის/სტუ-ს თეოლოგიის კვლევითი ცენტრის ოქმი;
- საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის დებულება;
- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ფორმები;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ინტერვიუების შედეგები;
- სტუ-ს მიერ მოწოდებული დამატებითი დოკუმენტები - სამუშაო ჯგუფის/სტუ-ს თეოლოგიის კვლევითი ცენტრის/ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები;
- საგანმანათლებლო პროცესის მართვის დებულება;
- სტუდენტების შეფასების ელექტრონული პორტალი - https://vici.gtu.ge/.

რეკომენდაციები:

- პროგრამამ უნდა ჩაატაროს დოქტორანტების სპეციალური გამოკითხვა, რათა უზრუნველყოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელების ანონიმური შეფასება.
- უნდა ჩატარდეს სამიზნე ნიშნულებთან შედარება და სადოქტორო პროგრამა პერიოდულად უნდა შედარდეს უცხოურ უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს პროგრამებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სწავლება უნდა შეფასდეს წინასწარ განსაზღვრული საკლასო ოთახის დაკვირვების შაბლონის გამოყენებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	☒	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამის დასახელება, დონე:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	☐	☐	☐	☒
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☒	☐	☐
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	☒	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პიტერ ჯონკერსი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ცოტნე ჩხეიძე

მარიამ მაჭავარიანი



ია ნაცვლიშვილი